# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№43 (10046) 2026 წლის 15 აპრილი, ოთხშაბათი




## „სოროსელებმა“ გაიმარჯვეს?!



ილონ მასკი:

**სოროსის ორგანიზაციამ უნგრეთი ხელში ჩაიგდო!!!**

## ვისთვის რას ნიშნავს ორბანის დამარცხება?




იხ. 8 გვ.




## რეჟისორის რისკიანი ნაბიჯი



4

## ისრაელის ავადმყოფური აღტკინება!




3

**ძველი აღთქმის მსაჯულთა წიგნში მოთხრობილი სამსონის ისტორია**



7

ერის გადარჩენისთვის უმთავრესია

**მტკიცე რწმენა, სიყვარული, მშვიდობა, გონიერება და მუხლჩაუხრელი შრომა!**

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, მეუფე შიოს სააღდგომო ეპისტოლე

## ევროპის დაისი,



9

ანუ გარდაუვალი კატასტროფა!




6

## ივ. ჯავახიშვილი და რეპრესიული ეპოქის არჩევანი

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE




# მძლავრი დედაენა მძლავრი სუვერენიტეტია!

## ირაკლი კობახიძე:

## გილოცავთ დედაენის დღეს!

1978 წლის 14 აპრილს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია. ამ დღეს საქართველო ერთ მუშტად შეიკრა დედაენის დასაცავად, ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა – ქართველმა ერმა მსოფლიოს დაანახა, რომ არასოდეს დათმობს ეროვნულ ღირსებას!

მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ დედაენის სიძლიერე და განვითარება ქართული სახელმწიფოს სიმტკიცის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა.

**„მაშინ ენის დაცვა ნიშნავდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეის გადარჩენას. სწორედ ამიტომ, ისტორიულმა გამარჯვებამ უმძლავრესი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. 14 აპრილის თაობამ შეინარჩუნა ფუნდამენტი, რომელზეც დღეს ჩვენი სუვერენიტეტი დგას. ჩვენი ვალდებულება მშობლიური ენის მიმართ მარადიულია. თანამედროვე სამყაროში ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა კვლავ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ჩვენი ვალია, განუხრელად ვიზრუნოთ ჩვენს ყველაზე ცოცხალ ეროვნულ საგანძურზე. დედაენის სიძლიერე და განვითარება ქართული სახელმწიფოს სიმტკიცის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა!..**



## აშშ-ის საელჩო საქართველოში:

# დღეს აღვნიშნავთ ქართული ენის სილამაზეს, უნიკალურობას!

**საქართველოში აშშ-ის საელჩომ ქართველ მეგობრებს დედაენის დღეს მიულოცა!**

როგორც აშშ-ის საელჩო წერს, 1978 წლის 14 აპრილს ქართველები წინ აღუდგნენ საბჭოთა კავშირის მცდელობას, ქართული ენისთვის წაერთმია სახელმწიფო ენის სტატუსი.

**„დღეს პატივს მივაგებთ მათ სიმამაცეს და აღვნიშნავთ ქართული ენის სილამაზეს, უნიკალურობას. ვულოცავთ დედაენის დღეს ჩვენს ქართველ მეგობრებს!“.**

# მიღწევები საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში



**პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ლაშხი ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა.**

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით ასევე მიმართეს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ **ზვიად გაბისონიამ,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **არნოლდ ჩიქობავას** სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა **ნანა მაჭავარიანმა** და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **გიორგი ალიბეგაშვილმა.**

ღონისძიების ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ქართული ენის გამოცდის სერტიფიკატები გადაეცათ. გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე – „სამეცნიერო მიღწევები საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში“. გარდა ამისა, მოეწყო უცხოეთში მოქმედი ქართველოლოგიის ცენტრების საქმიანობის ამსახველი ვიდეორგოლების ჩვენება.

**ღონისძიებას ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე რიმა ბერაძე, ასევე აღმასრულებელი და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.**

# პარლამენტმა „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილება მიიღო



**გუშინ პარლამენტმა პირველი მოსმენით, დაჩქარებული წესით განიხილა და 80 ხმით, ერთხმად დაუჭირა მხარი „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებას.**

კანონპროექტის თანახმად, გრანტად აღარ მიიჩნევა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობის, საკონსულო დაწესებულებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობის მიერ გაცემული ის სახსრები, რომლებიც ხმარდება ან შეიძლება მოხმარდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხოური პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური ან საჯარო ინტერესებიდან, მიდგომებიდან ან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს.

როგორც მომხსენებელმა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ არჩილ გორდულაძემ აღნიშნა, თუ უცხო ქვეყნის საელჩო საკუთარი სახელმწიფოსგან თავისი საქმიანობის განხორციელების მიზნით იღებს თანხებს, ის გრანტად არ ჩაითვლება და, შესაბამისად, არც საქართველოს მთავრობის თანხმობა იქნება საჭირო.

**პროექტის თანახმად, თუ საელჩო დააპირებს, გრანტი გასცეს საქართველოს მოქალაქეზე, ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, ამისთვის კვლავ საჭირო იქნება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმება.**

# „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონიც მხარდაჭერილია!

**საკანონმდებლო ორგანომ მესამე მოსმენით განიხილა და 81 ხმით, ერთხმად დაუჭირა მხარი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონში ცვლილებას.**

საკითხი განსახილველად იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თორნიკე ჭეიშვილმა წარადგინა. ცვლილების თანახმად, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნაცვლად სახელმწიფო აუდიტის სამსახური განახორციელებს.

**„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონში ცვლილებიდან გამომდინარე, ცვლილებები შედის ასევე „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“ და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.**

## ირაკლი კობახიძე:

## ვულოცავ პეტერ მადიარს და მის პარტიას საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას, მადლობას ვუხდი ვიქტორ ორბანს და მის გუნდს წლების მანძილზე საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისთვის





# გილოცავთ, ბატონო პეტერ! გმადლობთ, ძვირფასო ვიქტორ!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე პეტერ მადიარს და მის პარტიას უნგრეთის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს.**

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოს და უნგრეთს აკავშირებს მეგობრობისა და პარტნიორობის ხანგრძლივი ისტორია, რომელიც აუცილებლად გაგრძელდება.

**„ქართველი ხალხისა და საქართველოს მთავრობის სახელით, ვულოცავ პეტერ მადიარს და მის პარტიას უნგრეთის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას“. მადლობას ვუხდი ვიქტორ ორბანს და მის გუნდს წლების მანძილზე საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და ქართველი ხალხის გამორჩეული, მტკიცე მხარდაჭერისთვის.**

**საქართველოს და უნგრეთს აკავშირებს მეგობრობისა და პარტნიორობის ხანგრძლივი ისტორია, რომელიც აუცილებლად გაგრძელდება“!**

## პეტერ მადიარი:

# უნგრელმა ხალხმა ევროპასა და თავისუფალ უნგრეთს უთხრა „დიახ!“

**უნგრეთის ეროვნული საარჩევნო კომისიის მონაცემებით დათვლილია ხმების 100 პროცენტი, რომლის მიხედვითაც პეტერ მადიარის პარტია „ტისა“ ქვეყნის 199 adგილიან პარლამენტში 138 მანდატს მიიღებს და ერთპარტიულ საკონსტიტუციო უმრავლესობას ჩამოაყალიბებს.**

**მოქმედმა მმართველმა პარტიამ „ფიდესმა“ 38%, ანუ 55 მანდატი მიიღო. საპარლამენტო არჩევნებზე უნგრეთის ისტორიაში რეკორდული აქტივობა დაფიქსირდა.**

ვიქტორ ორბანმა პეტერ მადიარს გამარჯვება უკვე მიულოცა.

**„ჩვენ, უნგრელი ხალხი, თავად ვწერთ საკუთარ ისტორიას, მადლობა ამისთვის. დღეს უნგრელმა ხალხმა ევროპასა და თავისუფალ უნგრეთს უთხრა — “დიახ“. მხარი დაუჭირეს იმას, რომ ჩვენ მათ წარმოვადგენდეთ, ვედგეთ გვერდში და ქვეყანაში წესრიგი დავამყაროთ, ამაზე პასუხისმგებლობა უნგრეთის ხელისუფლებას ეკისრება.**

**მოვუწოდებ მოქმედ პრემიერ-მინისტრს, დღეიდან მხოლოდ გარდამავალი მთავრობის ფუნქციით შემოიფარგლოს და არ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელ-ფეხს შეუბოჭავს მომავალ — „ტისას“ მთავრობას. მათ, ვინც ქვეყანა გაძარცვა, პასუხი უნდა აგოს. ძვირფასო თანამემამულეებო „ფიდესიდან“.**

**ვიცი, რომ დღეს იმედგაცრუებულები ხართ. ვიცი, ეს რთულია, მაგრამ გპირდებით, რომ მე თქვენი პრემიერ-მინისტრიც ვიქნები. მე ვიქნები ყველა უნგრელის პრემიერ-მინისტრი და ვიმუშავებ დღეში 24 საათი, კვირაში შვიდ დღე, რათა მოვაშუშო იარები და მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა, შევძლოთ ერთმანეთის მიღება“,** – განაცხადა პარტია „TISZA-ს“ ლიდერმა **პეტერმა მადიარმა.**

# პუბლიცისტური განსჯა




**ძველი აღთქმის მსაჯულთა წიგნში მოთხრობილი სამსონის ისტორია ბიბლიური მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ბიბლიური თხრობა ასახავს უკიდურესი ბრძოლის, ღვთისადმი მიმართვისა და თვითდამანგრეველი შურისგების უაღრესად დრამატულ სურათს. ფილისტიმელთა მიერ დაბრმავებულმა, მტრების გარემოცვაში, დაგონის ტაძარში აღმოჩენილმა ისრაელის მსაჯულმა უფალს უკანასკნელად შესთხოვა ძალა, უზარმაზარი საყრდენი სვეტები ჩამოანგრია და საკუთარ სიცოცხლესთან ერთად ყველა მოწინააღმდეგე შეიწირა. სამხედრო და პოლიტიკურ მეცნიერებებში სამსონის ვარიანტად წოდებული კონცეფცია პირდაპირ ეფუძნება ხსენებულ ისტორიულ და საღვთო წერილისეულ პრინციპს.**

**აღნიშნული სტრატეგია გულისხმობს ებრაული სახელმწიფოს უკიდურეს, სრულმასშტაბიან ბირთვულ შურისძიებას. ებრაული პოლიტიკური და სამხედრო ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის საკუთარი განადგურების ფასად სამყაროს დასრულების იდეა ავადმყოფურ აღტკინებად, მანიაკალურ ლტოლვად და პოლიტიკური თვითტკბობის უმთავრეს საგნად იქცა.**

**დოქტრინის მთავარი არსი შემდეგნაირად ჟღერს: თუ ქვეყანას სასიცოცხლო საფრთხე და გარდაუვალი განადგურება ემუქრება, მმართველი ძალა გამოიყენებს მთელ არსებულ ბირთვულ პოტენციალს, რათა აგრესორებიც თან გადაიყოლოს და დედამიწის ზურგზე არცერთ მტერს არ დაუტოვოს გამარჯვების ზეიმის შესაძლებლობა.**

# ისრაელის ავადმყოფური აღტკინება!

## ძველი აღთქმის მსაჯულთა წიგნში მოთხრობილი სამსონის ისტორია

**დღეს უკვე აღნიშნული დოქტრინა გასცდა თეორიული ვარაუდის ფარგლებს. სპარსეთის ყურეში მიმდინარე შვიდკვირიანი ომის ფონზე ვხედავთ მსგავსი მოცემულობის დადგომის რეალურ საფუძვლებს. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის ერთობლივი მოქმედება ირანში მმართველობის შეცვლისა და ხელმძღვანელობის სრული განადგურების მიზნით ხანგრძლივ სტრატეგიულ მარცხად იქცა. ჰორმუზის სრუტე კვლავ ჩაკეტილია. ყურის სივრცეში არსებული ამერიკული სამხედრო ბაზები დაცლილია.**

ერაყში ვაშინგტონის გავლენა სრულად დაიმსხვრა. სულ რამდენიმე დღის წინ, ისპაჰანის მახლობლად, ირანის ბირთვული პროგრამის შეჩერებისკენ მიმართული ამერიკული მცდელობა კატასტროფით დასრულდა და დასავლური ძლიერების საზღვრები საჯაროდ გაშიშვლდა. აქვე, კიდევ ერთ მეტად საყურადღებო და საინტერესო ინფორმაციას უნდა გავუსვათ ხაზი. ოფიციალური ვაშინგტონის მტკიცება, თითქოს მათ შეძლეს საკუთარი სამხედრო მფრინავის ევაკუაცია და გამოყვანა, სრული სიცრუეა. სინამდვილეში, ირანის ტერიტორიაზე ამერიკელი დახოცილი ჯარისკაცების ცხედრები რჩება და სრულიად არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში ირანელებმა ისინი საჯაროდ გვაჩვენონ, თავიანთი სახელებითა და გვარებით. მსგავსი ფაქტის გამოაშკარავება კიდევ უფრო დაამძიმებს ისედაც კატასტროფულ ფონს. შექმნილ სიცარიელეში კითხვა იმის თაობაზე, ფლობს თუ არა ისრაელი ბირთვულ იარაღს, აზრს კარგავს. ყველამ იცის დაახლოებით ორასი ქობინის არსებობის შესახებ, რომელთა სამიზნემდე ტრანსპორტირება და გაშვება თავისუფლად ხორციელდება საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო პლატფორმებიდან. არსებული ბუნდოვანება მხოლოდ დიპლომატიური ფასადია. მთავარი კითხვა ახლა ასე ჟღერს: გადადგამს თუ არა ისრაელი საბოლოო ნაბიჯს საბრძოლო არსენალის გამოსაყენებლად.

**ებრაულ სახელმწიფოს საკუთარი ბირთვული შეიარაღების არსებობა ოფიციალურად არასდროს უღიარებია, თუმცა ათწლეულების განმავლობაში სიგნალების, ინფორმაციის კონტროლირებადი გაჟონვისა და სტრატეგიული ბუნდოვანების გზით ფაქტობრივად მიანიშნებდა ბირთვული პოტენციალის ფლობაზე. გააზრებული პოლიტიკური არჩევანი სახეზეა. აღნიშნული არჩევანი ყოველთვის ერთ ფუნდამენტურ დაშვებას ეყრდნობოდა, რომლის მიხედვითაც ვაშინგტონი უზრუნველყოფდა მძლავრ ფარს, რაც ისრაელს ბირთვული მახვილის ქარქაშში დატოვების ფუფუნებას მისცემდა. ხსენებული დაშვება ჩვენს თვალწინ იმსხვრევა. ამერიკის სრული მხარდაჭერის პირობებშიც კი, ისრაელს ირანის დამარცხება არ ძალუძს. ისლამური რესპუბლიკის სიღრმე, სამხედრო ინფრასტრუქტურის გაფანტულობა და არათანაბარი საბრძოლო შესაძლებლობები გადამწყვეტ გამარჯვებას შეუძლებელს ხდის. ამერიკული ზურგის გარეშე კი მოკავშირე სახელმწიფო წარმოუდგენელი მარცხის წინაშე აღმოჩნდება.**

ისლამაბადში გამართულ ბოლოდროინდელ პოლიტიკურ სპექტაკლსა და დიპლომატიურ ილუზიას, უფრო ზუსტი ტერმინის არარსებობის გამო, პირობითად შეგვიძლია მოლაპარაკებები ვუწოდოთ. მიმდინარე პროცესმა კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთა დონალდ ტრამპის სასოწარკვეთა. საათების განმავლობაში პოზიციის რადიკალური ცვლილება მოსალოდნელიც იყო და, სავარაუდოდ, ირანელებიც ზუსტად იმავეს მოელოდნენ. ყურადღებას იქცევს ის უკიდურესობებში მოხეტიალე, შეშლილი, ისტერიული ტონი, რომლითაც გაკეთდა განცხადებები. შესაძლოა, იგი აცნობიერებს საკუთარი ისტორიული მემკვიდრეობის ბედს, რასაც სწორედ მიმდინარე ომი განსაზღვრავს. მომავალი მემკვიდრეობა კი ნამდვილად არ ჩანს სახარბიელო.

მოცემულ ეტაპზე ვაშინგტონს მხოლოდ სამი გზა რჩება. პირველი გულისხმობს სახმელეთო ჯარების შეყვანას ბრძოლის ველზე, თუმცა ისპაჰანის წარუმატებლობა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს მზაობის ნაკლებობაზე მსგავსი ნაბიჯისთვის. მეორე გზა ითვალისწინებს მუქარის სისრულეში მოყვანას, ირანის მასობრივი დაბომბვით და ქვის ხანაში დაბრუნებით. მესამე ალტერნატივა კი ნეთანიაჰუსა და თავად ომისგან ეტაპობრივ გამიჯვნას გულისხმობს.

* * *

**ბუნებრივად ჩნდება კითხვა იმის თაობაზე, თუ რას ემსახურებოდა ცოტა ხნის წინ გამოცხადებულ და მალევე ჩაშლილ ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებული შერეული სიგნალები. ხომ არ ვხედავთ ტრამპის მცდელობას, გაემიჯნოს მთავარ მოკავშირეს და თავად კონფლიქტს. აღნიშნულს, ცხადია, ექნება მრავალმხრივი პოლიტიკური შედეგები, მაგრამ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ის, თუ რა გავლენას იქონიებს აღნიშნული გარემოება ისრაელის სამომავლო სტრატეგიულ გათვლებზე.**

უპირობო და სრული ამერიკული ზურგის გარეშე ებრაელი ხალხი ომში საკუთარ მდგომარეობას პირდაპირ სასიკვდილო საფრთხედ აღიქვამს. ირანული რაკეტებისა და უპილოტო საფრენი აპარატების შვიდკვირიანი უწყვეტი იერიშების შედეგად, ებრაული სახელმწიფოს საჰაერო თავდაცვის სისტემების მარაგები კრიტიკულ ზღვარზეა. მათ შესავსებად ამერიკული მომარაგება, პოლიტიკური ნება და საწარმოო სიმძლავრეებია საჭირო, რაც დღესდღეობით უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ირანის მიწისქვეშა ობიექტებმა, მობილურმა გამშვებებმა და სატელიტმა დაჯგუფებებმა უაღრესად მაღალი მდგრადობა აჩვენეს. მხარე მხოლოდ დაბომბვებით გამარჯვებას ვერ მიაღწევს. შესაბამისად, ტრადიციული სამხედრო ინსტრუმენტების ამოწურვის შემთხვევაში, სამსონის ვარიანტის ლოგიკა შესაძლოა უკიდურესად მიმზიდველი გახდეს. თუ სახელმწიფოს არ შეუძლია ომის მოგება, მას შეუძლია უზრუნველყოს მტრების სრული განადგურება.

ხსენებულ გათვლებს ეთიკური ყოყმანი არ ანელებს. მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ისრაელის ხელმძღვანელობა ბირთვული იარაღის გამოყენების მორალურ ასპექტებზე იტანჯება, მათი მსოფლმხედველობის სრულ გაუგებრობაზე მეტყველებს. ღაზაში განვითარებულმა მოვლენებმა თვალნათლივ დაამტკიცა მზაობა სამოქალაქო ინფრასტრუქტურის კატასტროფული განადგურებისთვის. ირანი აღიქმება პირდაპირ ამალეკად, ბიბლიურ მტრად, რომლის ხსოვნაც კი მიწის პირისაგან უნდა აღიგავოს. როდესაც ისრაელის ლიდერები ამალეკს ახსენებენ, ისინი მეტაფორებით არ საუბრობენ, ისინი ტოტალური ომის ბრძანებას აქტიურებენ. ბირთვული თავშეკავების მექანიზმს არასდროს წარმოადგენდა მორალური პასუხისმგებლობა ან სინდისი. მთავარი შემაკავებელი ფაქტორი ყოველთვის იყო შედეგების შიში, კონკრეტულად კი, ამერიკული პოლიტიკური, სამხედრო და დიპლომატიური საფარის დაკარგვის შიში. ხსენებული საფარის მოხსნის ან თუნდაც შემცირების შემთხვევაში, თავშეკავების ფუნდამენტური მიზეზიც გაქრება.



# რეჟისორის რისკიანი ნაბიჯი

# კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების



**რასაც ახლა ვიტყვი, შესაძლოა, თანამედროვეობის დიდი ქართველი რეჟისორის, რობერტ სტურუას მოკრიტიკე-მაგინებლებს, არც ახსოვდეთ. ამიტომ გეოგრაფიული და დროითი თვალსაზრისით ცოტა შორიდან დავიწყებ.**

1955 წელს გამოიცა დიდი ბერძენი მწერლის, პოსტ-მოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ნიკოს კაზანძაკისის (ბერძ. Νίκος Καζαντζάκης, 1883-1957 წ. წ.) რომანი „ქრისტეს უკანასკნელი ვნებანი", რომელიც მაშინვე იქცა შეურიგებელი დაპირისპირების საგნად მორწმუნე მკითხველთა შორის მსოფლიო მასშტაბით. მეტიც, რომის კათოლიკურმა და საბერძნეთის მართლმადიდებელმა ეკლესიებმა „ქრისტეს უკანასკნელი ვნებანი" სასწრაფოდ შეიტანეს აკრძალული წიგნების სიაში.

ლეიკემიით დაავადებული მწერალი წიგნის გამოცემიდან მალევე, 1957 წელს გერმანიის ქალაქ ფრაიბურგში გარდაიცვალა. ბერძნულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ კატეგორიულად აკრძალა მსოფლიო სახელის მქონე „ერეტიკოსი" ბერძენი მწერლის ქრისტიანულ სასაფლაოზე დაკრძალვა. ამიტომაც მადლიერმა თანამემამულეებმა მისი ცხედარი მიწას კუნძულ კრეტაზე, უძველესი ჰერაკლიონის კედელთან მიაბარეს.

რაც შეეხება ავტორისთვის ოდესღაც ტრაგედიად ქცეულ რომანს, იგი კარგა ხანია აღიარებულია მხატვრული ლიტერატურის „ხელიხელ საგოგმანებ" შედევრად მთელ მსოფლიოში და, უპირველეს ყოვლისა, მწერლის მშობელ საბერძნეთში.

ჩვენთვისაც შესანიშნავად ცნობილმა დიდმა ამერიკელმა კინორეჟისორმა, მარტინ სკორსეზემ 1988 წელს ნიკოს კაზანძაკისის ხსენებული რომანის მიხედვით გადაიღო ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმი, სადაც ნაჩვენებია ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო 12 საათი. როგორც მოსალოდნელი იყო, „კრიტიკოსებმა" რეჟისორი ლამის ჯვარს აცვეს ქრისტეს „გაადამიანურების" მცდელობის გამო. თუმცა, უკვე კარგა ხანია რეჟისორის ეს „შეცოდებაც" პირწმინდად დავიწყებულია – დღეს მარტინ სკორსეზეც ისეთივე „ხელიხელ საგოგმანები" რეჟისორია, როგორიც მწერალი ნიკოს კაზანძაკისი. რაც მთავარია, ორივე ამ გამოჩენილის „გაღვთიურება" სწორედ „ქრისტეს უკანასკნელ ვნებათა" დამსახურებაა.

გავბედავ და იმასაც შეგახსენებთ, რომ ნიკოს კაზანძაკისის დაბადებამდე რვაასი წლით ადრე ქართველი კაცის მიერ დაწერილი „ვეფხისტყაოსანი" მისი გამოჩენიდან ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იდევნებოდა ქრისტეს ყალბ მიმდევართა მიერ. ეს არ ყოფილა შემთხვევითობა, ვინმე ბოროტ მმართველთა, ან ეკლესიის მსახურთა აკვიატება – შოთა რუსთაველის ეს ქმნილება საშუალო ადამიანური გონებისთვის მიუწვდომელ სიმაღლეზე იდგა მეთორმეტე საუკუნეშიც და დგას ახლაც.

მოკლედ, გვინდა თუ არა, მოგვწონს თუ არა, უნდა დავეთანხმოთ პროფესორ კობა ჭუმბურიძის (და ბევრი სხვა გონიერი ადამიანის!) აზრს: „ჩვენ კიდევ დიდხანს ვერ ჩავწვდებით ბოლომდე ამ წიგნს. დღესაც ყველას ჩვენი „ვეფხისტყაოსანი" გვაქვს და ეს არის მისი სიდიადე. პირადად ჩემთვის იგი გოგლას ლექსშია – ხელში აგიღებ, გაკოცებ, კიდევ ჩაგკოცნი, ჩაგცქერი, წიგნი კი არა, ჟრჟოლა ხარ, ჩამოქაფული ჩანჩქერის..."



დღემდე ბურუსითაა მოცული პოემის ავტორის ვინაობაც.

* * *

**„ვეფხისტყაოსნის", ყველა დროის ამ გენიალური შედევრის სცენიდან დანახვების მცდელობამ კიდევ ერთხელ ააფორიაქა მთელი საქართველო. ეს გარდუვალობა მშვენივრად იცოდა თვითონ დიდმა რეჟისორმა რობერტ სტურუამაც.**

სამწუხაროდ, მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც, ზოგადად, „ვეფხისტყაოსნის," ან მისი სცენაზე გადატანილი ვერსიის პროფესიულ შეფასებას გაბედავს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ასეთი ადამიანი ხვალ უეჭველად გამოჩნდება და შთამომავლობას ამ წარმოდგენის განსასჯელად სწორედ მისეული შეფასება დარჩება.

იმედია, რის თქმასაც ახლა გავბედავ, ტრაბახსა და უადგილო თავმომწონეობაში არ ჩამეთვლება: შორეულ წარსულში, სკოლის მოწაფეობისას (მაშინ მეცხრეკლასელები ვიყავით) ჩემს მეგობარ როლანდ ჭკუასელს დავენაძლევე, რომ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში „ვეფხისტყაოსანს" დავიზეპირებდი. მთლიანად ვერა, მაგრამ ოთხიოდე თვის შემდეგ პოემის ნახევარზე მეტი ნამდვილად ვიცოდი. წარმოიდგინეთ, ბევრი რამ ახლაც კარგად მახსოვს. იმის თქმა მინდა, რომ „ვეფხისტყაოსნის" თავიდან ბოლომდე ზეპირად ცოდნაც კი პოემის არსის გაგებისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. ამ უბრალო ჭეშმარიტებას რობერტ სტურუას მლანძღველ-დამმუნათებელ-მოკრიტიკეთა საყურადღებოდ ვიმეორებ.

აი, რას ბრძანებს „ვეფხისტყაოსნის" გადარჩენისთვის მებრძოლი რეჟისორი სანდრო ელოშვილი: „თუკი სტურუა უნდა განვსაჯოთ, როგორც რეჟისორი, გეტყვით რომ ამ პროფესიაში ისევე ბერდებიან ადამიანები, როგორც დავუშვათ ფეხბურთში და 87 წლის ადამიანს, მოვთხოვოთ ის შედეგები რაც ჰქონდა 37 წლის ასაკში („კავკასიური ცარცის წრე" „რიჩარდ III") იგივეა 70 წლის ალექსანდრე ჩივაძეს მოვთხოვოთ ისევე ითამაშოს, როგორც თამაშობდა 20 წლისა..."



უკაცრავად და, ამ „გაუვალი" სისულელის მთქმელ რეჟისორს იძულებული ვარ, შევახსენო, რომ ასაკი ადამიანის სიბრძნეზე უარყოფითად არ მოქმედებს. ფეხბურთელი 70 წლის ასაკში ძველებურად იმიტომ კი ვერ ითამაშებს, რომ გამოშტერდა, არამედ იმიტომ, რომ ამის საშუალებას არ აძლევს მისი ფიზიკური მდგომარეობა. ბატონ ელოშვილს და მის მომხრეებს ბარემ იმასაც შევახსენებ, რომ იოჰან ვოლფგანგ გოეთემ თავისი გენიალური „ფაუსტი" გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 80 წლის ასაკში დაასრულა!

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამგვარი მსჯელობით ბატონი ელოშვილი (და ბევრი სხვაც!) უმძიმეს შეურაცხყოფას აყენებს მთლიანად ქართველ ერს და მათ შორის, საკუთარ მამა-პაპასაც. აი, რას ბრძანებს ბატონი ლევან თავდიშვილი: **(სტილი დაცულია)** – „დიახაც, რომ ბიბლია წიგნთა წიგნია და მისი სწავლება უნივერსიტეტის სწავლებაზე მაღლა დგას, ხოლო ქართველისათვის „ვეფხისტყაოსანი" კი მის სადარი. „ქალი მყავდა მშვენიერი, შავთვალწარბა, კაოსანი, გავათხოვე, გავაყოლე მზითვად „ვეფხისტყაოსანი"! წაეკითხათ, ვერ გაეგოთ, თურმე იყვნენ ვიროსანი, ისევ უკან წამოვიღე ჩემი „ვეფხისტყაოსანი"! ეს ლექსი, ჩვენმა წინაპარმა იმიტომ შემოგვინახა, რომ ამით გაგვაფრთხილა, წაკითხულის გაგება უნდა შეგეძლოსო და თუ ვერ შესძლებ, მისი შინაარსის გაგებას, ენას კბილი დააჭირეო. ვისაც „ვეფხისტყაოსანი" ვერ გაუგიაო, დღეს უფრო მეტ უნდა გაფრთხილდეს, რომ თვისი ნათქვამი, გამოუსწორებელ სისულელედ არ წარმოჩინდეს... ამას მასწავლიდნენ ოჯახში, შემდეგ სკოლაში და ცხოვრებაში ჩემს გარშემო მყოფი საზოგადოება..."

ამ ნაზოდვარის წაკითხვის შემდეგ იძულებული ვარ ვთქვა, რომ კარგი იქნებოდა, ბიბლიასა და „ვეფხისტყაოსანზე" ლექციებამდე მშობლებს და მასწავლებლებს ბატონი ლევანისთვის ქართულ ენაზე წერა-კითხვა ესწავლებინათ. აზროვნებაზე არაფერს ვამბობ – სამწუხაროდ, მაღალი ღმერთი საღი აზროვნების ნიჭით მხოლოდ გამორჩეულებს აჯილდოვებს!

მასწავლებელ ნათია ქავთარაძესაც მოვუსმინოთ. მით უფრო, როგორც თვითონ ბრძანებს, „სამი წლის წინ Geosky school-S დავდგი „ვეფხისტყაოსანი" მე-7 კლასში". დასტურად ჩოხიანი ბიჭებისა და ქართულ კაბიანი ულამაზესი გოგო-ბიჭების ფოტოებსაც აქვეყნებს:

„რობერტ სტურუას „ვეფხისტყაოსანი" არის მცდელობა, რომ ეროვნული საგანძური გადაიწეროს ნიჰილიზმის ენაზე. შავი ფერი ამ დადგმაში არის მთავარი ინსტრუმენტი, რომლითაც მოხდა საკრალურის პროფანაცია. რეჟისორმა „ვეფხისტყაოსნისგან" მხოლოდ ჩონჩხი დატოვა, გამოაცალა მას ქრისტოლოგიური იმედი და ეროვნული სიამაყე, რითაც მაყურებელი აღმოჩნდა პირისპირ უსასრულო, ცივ წყვდიადთან. ეს არ არის უბრალოდ სპექტაკლი – ეს არის კულტურული ხატის მსხვრევის აქტი. სტურუასეული დეგრადაცია არ არის მხოლოდ სტილისტური არჩევანი, ეს არის ონტოლოგიური ტერორი. თუ რუსთაველისთვის სამყარო ღვთაებრივი არქიტექტურის შედევრია, სტურუასთვის ის ნანგრევია, სადაც ადამიანი მხოლოდ ნივთიერი ნარჩენია.

სტურუამ რუსთაველის „ვერტიკალი" (სწრაფვა ღვთისკენ) ჩაანაცვლა „უფსკრულით". მისი „ვეფხისტყაოსანი" არის ქართული სულის დესაკრალიზებული რეკვიემი, სადაც შავი ფერი სამყაროს აღსასრულის ნიშანია, ხოლო სიშიშვლე – იმ სულიერი სიცარიელის, რომელიც კლასიკური ღირებულებების ნგრევის შემდეგ დარჩა. ეს არის ხელოვნების თვითმკვლელობა გენიის ჩრდილში. ჰოდა, ამოვიღოთ ხმა, აიკრძალოს, მოიხსნას სცენიდან!"

ამ მაღალფარდოვანი „ინტელექტუალური" მიეთ-მოეთის გაგება თავად „ვეფხისტყაოსანზეც" კი რთულია. სამაგიეროდ, სავსებით გასაგებია ავტორის ამბიცია – რა მარტინ სკორსეზე და რა რობერტ სტურუა! თუ „ვეფხისტყაოსნის" სცენაზე გადატანა გსურთ, აგერ ვარ მე, ნათია ქავთარაძე და აგერ არიან ჩემი მეშვიდეკლასელები – რუსთაველიც ვიცით, სცენაზე თამაშიც, ჩოხა-ახალუხებიც გვაქვს, „აზიაცკებიც", ქართული კაბებიც და „პუანტებიც". დიდი-დიდი, თქვენგან მხოლოდ რუსთაველის თეატრის შენობა თუ დაგვჭირდეს!



# უცნაურ აზრთა ფრქვევანი...

**იტალიაში მოღვაწე ჩვენი თანამემამულის, იტორიის მეცნიერებათა დოქტორ ლუარა ნიჟარაძის შეფასებაც ვნახოთ: ?„ბატონო რობერტ, თქვენი შემოქმედებითი ხელწერისათვის დამახასიათებელი პროვოკაციული ინტერპრეტაციები არ გამაკვირვებდა მაგრამ... ამჯერად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ კნინობითი ფორმით ინტერპრეტაცია ყოველგვარ კრიტიკას სცილდება. „ვეფხისტყაოსანი...“ ქართველი ერის ზნეობრივი კონსტიტუციაა. მასში განსახიერებული სიყვარულის, მეგობრობისა და რაინდობის იდეალები საუკუნეების მანძილზე აყალიბებდა ჩვენს იდენტობას. როდესაც სცენაზე ამ ამაღლებულ პერსონაჟებს ყოფით, სექსუალურ სიბრტყეში აქვეითებთ, ეს აღიქმება არა როგორც „ახლებური ხედვა“, არამედ როგორც კულტურული ვანდალიზმი. რობერტ სტურუას ეს დადგმა იქცა წყალგამყოფად აბსოლუტურ შემოქმედებით თავისუფლებასა და ეროვნულ ღირსებას შორის. კულტურულ ძეგლს დაცვა სჭირდება და არა „მორგება“ ეს პრინციპი უცვლელი უნდა დარჩეს.“**

იმედია, როცა ქალბატონი დოქტორი სამშობლოში ჩამობრძანდება და სპექტაკლს საკუთარი თვალით ნახავს, სცენიდან ნათქვამს საკუთარი ყურით მოისმენს, შესაძლოა, შთაბეჭდილებებიც შეიცვალოს.



აი, ამ კიდევ ერთი ევროპელი „პოეტი“ ქალბატონის, **Nino Darbaiseli Straugn (ნინო დარბაისელი სტრონი)** შეხედულებათა ოდესმე შეცვლა-გადაფასება კი, ვფიქრობ, შეუძლებელია:

**„პუტჩისტ რობერტ სტურუას (რუსთველური დაგალი შაირი) –**

**ათი მთავრობის ოღრაშო,**
**დღემდე გამოდექ უცელი,**
**ყველასი ჭამე ფულები,**
**ვერ გაძღა შენი მუცელი!**
**ყელამდე ნეხვში გორაობ,**
**უკვე დამდგარხარ „უ ცელი!“**
**მორჩა ეგ სიტუტუცენი,**
**დაგეფარება ფურცელი“.**

ალბათ, საკმარისია. ამ ქალბატონის „ლექსის“ კომენტარიც არ ღირს. მხოლოდ ერთს ვიტყვი: ხელოვნების და პოლიტიკის აღრევა, მისი მცდელობაც კი (რაც კიდევ ერთხელ ასე აშკარად გამოჩნდა რობერტ სტურუას ამ გახმაურებული სპექტაკლის შემდეგ) ძალიან საშიში მოვლენაა ქართული ეროვნული ცნობიერებისთვის.

რუსთაველის დაცვის კეთილშობილური მიზნით, „ანტირობერტისტები“ სასტიკად აკრიტიკებენ, უშვერი სიტყვებით ლანძღავენ მთლიანად სპექტაკლს, მის რეჟისორს, სცენის დეტალებს, მსახიობებს, მათ სიტყვა-პასუხს, ჩაცმულობას თუ მიხვრა-მოხვრას... თანაც, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ამას ვინ უფრო შთამბეჭდავად მოახერხებს.

რა თქმა უნდა, ბევრია ისეთიც, ვინც, გულწრფელად რომ ვაღიარო, სტურუასეული მართლაც საკამათო წარმოდგენის ცივი გონებით გაანალიზებას, რეჟისორის ნაფიქრში ჩაწვდომას, სცენის საიდუმლოებებში გარკვევას ცდილობს.

ის ფაქტი, რომ რობერტ სტურუამ „ვეფხისტყაოსნის“ „გათანამედროვეობა“, რუსთაველის თეატრის სცენიდან მისი დღევანდელ ცივილიზაციურ დონესთან შეხამება, დღევანდელი ქართული ენით მისი დანახვება სცადა, მართლაც რისკიანი ნაბიჯია. რაც მთავარია, სავსებით ლოგიკურია შოთა რუსთაველის ალალ მოყვარულთა და, განსაკუთრებით, უმეცართა ნამდვილი და გამოგონილი უკიდეგანო აღშფოთება.

მოდი, შევთანხმდეთ – „გასცენირების“ თუნდაც წარუმატებელი მცდელობა პოემას და მის ავტორს ვერაფერს დააკლებს. რაც შეეხება რეჟისორს, მის „დამარხვას“ მაინცდამაინც ნუ ვიჩქარებთ, დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს – რობერტ სტურუა ის მოღვაწეა, ვისი სახელიც შთამომავლობას 400 წლის შემდეგაც კარგად ემახსოვრება.

ერთი ცნობილი და მრავლისმთქმელი ბრძნული გამონათქვამით დავამთავრებ – რომ ასწავლო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო. ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, ძვირფასო თანამემამულეებო!



**თეიმურაზ ქორიძე**

14. 04. 2026



# ისრაელის ავადმყოფური აღტკინება!

**(მესამე გვერდიდან)** **ვაშინგტონში მოკალათებული ქრისტიანი სიონისტი მოკავშირეები არსებულ მოცემულობას კიდევ უფრო აძლიერებენ. მათთვის მიმდინარე კონფლიქტი დასასრულებელი უბედურება სულაც არ გახლავთ, პირიქით, ასასრულებელი წინასწარმეტყველებაა.**

ქვეყნიერების აღსასრულის მაუწყებელი ხედვები ესკალაციას ღვთიურ აუცილებლობად წარმოაჩენს და გამორიცხავს მის სტრატეგიულ შეცდომად აღქმას. მსგავს გარე გამართლებას შეუძლია ფარულად გადაანაცვლოს ესკალაციის მორალური სიმძიმე და წარმოუდგენელი ქმედება განგებად აქციოს. როდესაც ხსენებული თეოლოგიით მოცული ამერიკელი მაღალჩინოსნები იკავებენ საკვანძო პოზიციებს, მათ შორის სამხედრო უწყებებში, უკიდურესი ნაბიჯებისადმი მიმღებლობის ბარიერი დრამატულად მცირდება. შესაბამისად, იმ პირობებშიც კი, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები ნაბიჯს უკან გადადგამს, ამერიკული მმართველობის უმნიშვნელოვანესი ნაწილები კვლავაც სრულად დაუჭერენ მხარს მაქსიმალისტურ მოთხოვნებსა და ქმედებებს.

* * *

**რეალური საფრთხე იმაში არ მდგომარეობს, თითქოს თელ-ავივი გონებას დაკარგავს და გაგიჟდება. მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ისრაელის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ცივი, პრაგმატულ გათვლებზე დაფუძნებული გადაწყვეტილება. შეერთებული შტატების გამიჯვნისა და ჩვეულებრივი იარაღით გარდაუვალი მარცხის პირობებში, თუ ირანი მართლაც ამალეკია, ბირთვული იარაღის გამოყენება უკვე მკაფიო სტრატეგია ხდება და არა სიგიჟე.**

სამსონის ვარიანტი სწორედ იმისთვის შეიქმნა, რომ ისრაელი განადგურების საფრთხის წინაშე მარტო არასოდეს დარჩენილიყო. თუმცა თავად დოქტრინის არსებობა გადებს ერთგვარ მანკიერ ბიძგს. კუთხეში მიმწყვდეული სახელმწიფო, უდიდესი ალბათობით, მთელი თავისი უკიდურესი არსენალით გადავა შეტევაზე. მოვლენათა განვითარების კიდევ ერთი სტრატეგიული ვარიაცია არსებობს. ისრაელის ხელმძღვანელობას წინასწარ ექნება უზრუნველყოფილი, რომ შეერთებულმა შტატებმა ზუსტად იცოდეს ბირთვული ნაბიჯის გარდაუვალობის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ებრაული სახელმწიფო გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება. თეორიულად, აღნიშნული ფაქტორი ამერიკას ისრაელთან აკავშირებს, რათა თავიდან აიცილოს კონტროლის დაკარგვა.

მეორე მხრივ, ამერიკულ პოლიტიკურ წრეებში არსებობენ ძალები, რომლებსაც, შესაძლოა, თავადაც სურდეთ ირანზე ბირთვული დარტყმა საკუთარი ხელების გასვრის გარეშე. მათთვის გაცილებით მომგებიანია სრული ისტორიული პასუხისმგებლობის სხვაზე გადატანა. განსახილველი სცენარი არ გულისხმობს გონიერი მოთამაშეების მიერ სტერილურ ვაკუუმში ალტერნატივების აწონვას. მოვლენათა განვითარების მსგავსი გზა იდეოლოგიის, თეოლოგიის, სამხედრო სასოწარკვეთისა და მოკავშირეებისგან იზოლაციის განცდის ერთ კრიტიკულ წერტილში გადაკვეთას წარმოადგენს. ბირთვული იარაღის ამოქმედების საფუძველი ნამდვილად არ იქნება ირაციონალური აფექტი ან გონიერების დაკარგვა.

მთავარი მოტივი დაეფუძნება გონივრულად შეფუთულ დასკვნას მტრის ტოტალური განადგურების სასიცოცხლო აუცილებლობის შესახებ. მსოფლიო კი, საბოლოო ჯამში, მომხდარს შეეგუება, როგორც შემდგარ ფაქტს. ბირთვული იარაღის გამოყენების ტაბუ ოთხმოცი წლის განმავლობაში მსოფლიო ლიდერების განსაკუთრებული სათნოების გამო არ შენარჩუნებულა. შემაკავებელი მხოლოდ კატასტროფული შედეგების გააზრების შიში იყო.

**კაცობრიობა ახლა ყველაზე სახიფათო და შეუქცევად ზღვარზე დგას. ისტორიამ არაერთხელ ცხადყო, რომ უძლეველობის მითით შეპყრობილი ძალები დაცემისას ცდილობენ, მთელი სამყარო თან ჩაიყოლონ უფსკრულში. ახლო აღმოსავლეთში დატრიალებული მოვლენები დიდი ხანია, გასცდა რეგიონული დაპირისპირების საზღვრებს და მსოფლიო წესრიგის საბოლოო რღვევას მოასწავებს. თვალდახუჭული სამსონი უკვე ეხება ტაძრის მთავარ სვეტებს.**

**დანარჩენი სამყარო კი, სრულ უმოქმედობაში მყოფი, მდუმარედ ელოდება, თუ როდის გამოეცლება დედამიწას საძირკველი. გადარჩენის დრო და სივრცე შეუქცევადად მცირდება, ხოლო უდიდესი კატასტროფის მოლოდინი უკვე ფიზიკურად ხელშესახები გახდა!..**



**ირაკლი ყიფიანი**

# დონალდ ტრამპი რომის პაპს ბოდიშს არ მოუხდის!

აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** აცხადებს, რომ **რომის პაპს, ლეო XIV**-ს ბოდიშს არ მოუხდის. აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რომის პაპი **„ძალიან სუსტია დანაშაულთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით“ და, მისივე თქმით, „უბრალოდ პასუხობს“ პაპის კრიტიკას.**

**„არაფერი მაქვს საბოდიშო, რადგან ის არის არასწორი“**, – განაცხადა ტრამპმა.

**ცნობისთვის**, აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ **„რომის პაპი დანაშაულის წინააღმდეგ – სუსტი, საგარეო პოლიტიკაში კი საშინელია“. მისივე თქმით, არ სურს პაპი, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტს აკრიტიკებს. საპასუხოდ რომის პაპმა განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის არ ეშინია და ომის წინააღმდეგ აქტიურ გამოსვლებს გააგრძელებს.**



**აშშ-ში დაგადებულმა რომის პაპმა ლეო XIV-მ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მწვავე თავდასხმას უპასუხა.** მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ვატიკანის მოწოდებები მშვიდობისა და შერიგებისკენ სახარებაზეა დაფუძნებული და მას ტრამპის ადმინისტრაციის არ ეშინია.

**„ჩემი გზავნილის იმავე სივრცეში მოქცევა, რასაც პრეზიდენტი ცდილობს, ვფიქრობ, იმას ნიშნავს, რომ მას სახარების არსი არ ესმის. ვწუხვარ ამის მოსმენის გამო, მაგრამ მე კვლავაც გავაგრძელებ იმას, რაც დღევანდელ მსოფლიოში ეკლესიის მისიად მიმაჩნია“**, – განუცხადა პონტიფექსმა ჟურნალისტებს თვითმფრინავში, ალჟირისკენ მიმავალ გზაზე.

# ლეო XIV: ტრამპის ადმინისტრაციის არ მეშინია

ისტორიაში პირველმა ამერიკელმა პაპმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მოწოდებები მშვიდობისკენ და „ყოვლისშემძლეობის ილუზიის“ კრიტიკა არ წარმოადგენს პირდაპირ თავდასხმას ტრამპზე ან სხვა რომელიმე პიროვნებაზე.

**„მე არ ჩავებმები დებატებში. ის, რასაც ვამბობ, ნამდვილად არ არის მიზანმიმართული ვინმეზე თავდასხმისთვის. სახარების გზავნილი ძალიან ნათელია – ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი. მე არ მოვერიდები სახარების გზავნილის გამოცხადებას და ყველა ადამიანის მოწვევას მშვიდობისა და შერიგების ხიდების მშენებლობის გზების საძიებლად, რათა თავიდან ავიცილოთ ომი ნებისმიერ დროს, როცა კი ეს შესაძლებელია. მე არ მეშინია ტრამპის ადმინისტრაციის“.**



# ივ. ჯავახიშვილი და რეპრესიული ეპოქის არჩევანი

## ივანე ჯავახიშვილი — 150

1937 წლის აპრილში სიმონ ჯანაშია ბარათს უგზავნის ივანე ჯავახიშვილს: ბ-ნო ივანე! თქვენ ალბათ ან ვერ მიიღეთ ჩვენი უწყება, ან ვერ მოიცალეთ და იმიტომ ვერ მობრძანდით თათბირზე, რომელიც მოწვეული იყო ინსტიტუტში ჩვენი მონაწილეობის შესახებ საერთაშორისო ისტორიულ კონგრესში. რადგანაც პასუხი საჩქაროდ უნდა გავუგზავნოთ, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ამის მომტანის ხელით მიბრძანოთ თქვენი აზრი თქვენი მონაწილეობის შესახებ და თქვენი თემაც (დადებითი პასუხის შემთხვევაში). არ ვიცი რამდენად რეალურია ეს ამბავი, მაგრამ ჩვენ მაინც რამე პასუხი უნდა გავცეთ.

ღრმა პატივისცემით
ს. ჯანაშია.

იქვე, ს. ჯანაშიას ხელმოწერის ქვეშ, ლამაზი ხელრთვით, ივ. ჯავახიშვილის პასუხია: 16.IV. 1937.

ბატონო სიმონ!

არც უწყება მიმიღია და არც ვიცოდი რამე. მე პირადად, ცხადია მონაწილეობის მიღება არ შემიძლიან. თქვენი ივ. ჯავახიშვილი".



**ერთი შეხედვით, ეს ტიპური საქმის ქაღალდია, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ადმინისტრაციული მიმოწერიდან: ზემდგომი ორგანო დაქვემდებარებული დაწესებულებისაგან (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, შემდეგში ენიმკი) გარკვეულ ინფორმაციას ითხოვს: საერთაშორისო კონგრესში შესაძლო მონაწილეთა შესახებ, ვინ წავა, რა თემას წარადგენს და ა. შ. ამგვარად, მიმდინარეობს წინასწარი შერჩევა და კონსულტაცია. თითქოს საქმიანი დოკუმენტია, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, ეს პატარა ბარათი იმ ტრაგიკული ეპოქის კიდევ ერთი მამხილებელი საბუთია. ბარათის ტონიდან ჩანს ძალიან მნიშვნელოვანი ქვეტექსტი – ს. ჯანაშიას ფორმალური პატივისცემა, მაგრამ ამასთანავე ივ. ჯავახიშვილის მკაფიო და თითქმის დრამატული უარი, 1937 წლის კონტექსტი კი, მას დამატებით სიმძაფრეს სძენს.**

მივყვეთ ტექსტს. ვცადოთ ამ ტექსტის „წაკითხვა" ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით. გავარკვიოთ, რომელ „საერთაშორისო კონგრესზეა" საუბარი, რამ გამოიწვია ივ. ჯავახიშვილის უარი.

1930-იან წლებში ისტორიკოსთა მთავარი საერთაშორისო ფორუმი იყო International Congress of Historical Sciences (ისტორიულ მეცნიერებათა საერთაშორისო კონგრესი). კონგრესები ტარდებოდა პერიოდულად (1933 – ვარშავა; 1938 – ციურიხი), ხოლო შუალედურ წლებში მიმდინარეობდა მოსამზადებელი კომუნიკაცია.

საბჭოთა კავშირისთვის ამ ფორუმში მონაწილეობა იყო პრესტიჟული, როგორც საერთაშორისო აღიარების ფორმა; მაგრამ ხელისუფლების მხრიდან მკაცრად კონტროლირებული, როგორც იდეოლოგიური რისკის ზონა.

რაც შეეხება ბარათში ნახსენებ „საერთაშორისო კონგრესს", სავარაუდოდ, საუბარია არა კლასიკურ „ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე", არამედ ანტიფაშისტური/მშვიდობის საერთაშორისო კონგრესების ციკლზე, რომლებიც იმ პერიოდში ინტენსიურად ტარდებოდა და მასში საბჭოთა მეცნიერები აქტიურად მონაწილეობდნენ. ამ ფორუმებში მონაწილეობის პროცესს კურირებდა სსრკ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ასრულებდა შერჩევისა და რეკომენდაციის ფუნქციას. იმ პერიოდისთვის (1937 წ.) საბჭოთა ინტელიგენცია აქტიურად მონაწილეობდა ანტიფაშისტურ საერთაშორისო ფორუმებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პარიზის (1935) და შემდგომი სესიები. ამ კონგრესებში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ მწერლები **(1935 წელს პარიზის ანტიფაშისტ მწერალთა კონგრესში ქართველთაგან გალაკტიონ ტაბიძე მონაწილეობდა), არამედ ჰუმანიტარები, ისტორიკოსები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები.**

წერილის ინტერპრეტაციას რაც შეეხება, ს. ჯანაშიას მიერ კონგრესის საკითხის წამოწევა შეიძლება განვიხილოთ როგორც: მოსკოვიდან მოსული აკადემიური ინიციატივა; ან მოსამზადებელი კონსულტაცია, რომელიც მას, როგორც კვლევითი დაწესებულების ხელმძღვანელს (იგი 1936-1941 წლებში ინსტიტუტის დირექტორი იყო) ევალებოდა. ბუნებრივია, ამ ღონისძიების შესახებ ს. ჯანაშია ბარათით ატყობინებს გამორჩეულ მეცნიერს, თავის მასწავლებელს, ივანე ჯავახიშვილს, რომელიც 1936 წლიდან ამავე ინსტიტუტის მუდმივი სწავლული კონსულტანტია და მისგან მოულოდნელ უარს იღებს.

ჩვენ არ ვიცით კონგრესის რამდენ მონაწილეზეა საუბარი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში ქართველ ისტორიკოსთა მონაწილეობა, მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა არა მარტო ამ მკვლევართათვის, არამედ, მთლიანად ქართული სამეცნიერო სკოლისათვის. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რამდენად რეალური იყო ქართველ ისტორიკოსთა მონაწილეობა ამ ფორუმში.

ვცადოთ ამ მეცნიერთა მონაწილეობის შესაძლებლობის ინსტიტუციურ-პოლიტიკური ანალიზი.

დავიწყოთ იმით, რომ წერილში ნახსენები ორივე მეცნიერი: **ივ. ჯავახიშვილი** და **ს. ჯანაშია** სრულად აკმაყოფილებდა აკადემიურ კრიტერიუმებს: ივანე ჯავახიშვილი – საერთაშორისო დონის ისტორიკოსი, ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი; სიმონ ჯანაშია – აქტიური მკვლევარი და ორგანიზატორი, ჩართული საბჭოთა აკადემიურ სტრუქტურებში, შედარებით ინტეგრირებული საბჭოთა სისტემაში. ამიტომ, თეორიულად მათი კანდიდატურა სრულიად შესაძლებელი და დასაბუთებული იყო.

1937 წლისთვის უკვე შეიძლებოდა განხილულიყო მათი1938 წლის ციურიხის კონგრესში მონაწილეობა. თუმცა თეორიული შესაძლებლობა ეჯახება კონკრეტულ ისტორიულ რეალობას, 1937 წელი არის საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკის პიკი, დაკავშირებული ე. წ. „დიდ წმენდასთან". ამ პერიოდში: ინტელიგენცია ტოტალური კონტროლის ქვეშაა; უცხოეთში გამგზავრება მკვეთრად შეზღუდულია; საერთაშორისო კონტაქტები აღიქმება როგორც პოტენციური პოლიტიკური საფრთხე. ამაზე უნდა მიანიშნებდეს ს. ჯანაშიას ეჭვი: „არ ვიცი რამდენად რეალურია ეს ამბავი...". ძნელი სათქმელია, რა იგულისხმა ინსტიტუტის დირექტორმა, ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობის შესაძლებლობა თუ კიდევ სხვა რამ.

რატომ იკავებს თავს ივ. ჯავახიშვილი? ვნახოთ მისი პასუხი: **„არც უწყება მიმიღია და არც ვიცოდი რამე".** შეიძლებოდა თუ არა მას არ სცოდნოდა საერთაშორისო კონგრესის შესახებ. თეორიულად – კი, მაგრამ პრაქტიკულად ნაკლებად სავარაუდოა. იმდროინდელ რეალობაში საერთაშორისო კონგრესებზე მიწვევები მოდიოდა ცენტრალიზებულად (აკადემიის, საკავშირო ინსტიტუტების გავლით).

განსაკუთრებით უცხოეთში გასვლასთან დაკავშირებული საკითხები ვერ დარჩებოდა ინდივიდუალური უცოდინარობის დონეზე. ს. ჯანაშიას წერილიც მიუთითებს, რომ საკითხი უკვე ცნობილია და განიხილება (როგორც ვიცით, ივ. ჯავახიშვილი ენიმკი-ს თანამშრომელი იყო), ამიტომ, სრული უცოდინარობა ნაკლებად დასაჯერებელია. რატომ ითქვა **„არ ვიცი"?** ეს არის სწორედ 1937 წლის ენა. იმ დროის ინტელექტუალური კომუნიკაციისთვის დამახასიათებელია: დისტანცირება **(„მე არ ვარ ინფორმირებული"),** საკუთარი ჩართულობის მინიმალიზაცია, ეს არ ნიშნავს ფაქტობრივ უცოდინარობას – ხშირად ნიშნავს: თავის დაცვას, ეს პოლიტიკურად მოტივირებული სიფრთხილის კლასიკური ნიშანია (მეცნიერისა, რომელმაც ბოლშევიკური რეჟიმის სისასტიკე საკუთარ თავზე იწვნია). ამ პასუხში გარკვეული სიფრთხილე და ფორმულირების დელიკატურობა იგრძნობა, რაც იმ დროის პოლიტიკურ ატმოსფეროს სრულად შეესაბამება, ივ. ჯავახიშვილის სიფრთხილე, ესაა რეალობის ზუსტი აღქმა („ცხადია მონაწილეობის მიღება არ შემიძლიან"). თუმცა, „არ ვიცი" შეიძლება აგრეთვე, ნიშნავდეს: „ეს საკითხი ჩვენზე აღარ არის დამოკიდებული".

მართალია, 1937 წლის აპრილისთვის ის ფორმალურად „რეაბილიტირებულია", თუმცა ეს არ ნიშნავს სრულ თავისუფლებას. იგი კვლავ იმყოფება მუდმივი დაკვირვებისა და თვითცენზურის პირობებში. იგი რეალობას ზუსტად აღიქვამს და პოლიტიკურად მოტივირებული სიფრთხილით პასუხობს. მისი ფაქტობრივი რეაბილიტაცია მოგვიანებით დაიწყო: 1938 წ. შრომის წითელი დროშის ორდენი, იმავე წელს აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 1939 წ. აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. იმ დროისთვის კი (1937 წ. აპრილი), ახლო წარსულში კრიტიკის ობიექტი, ხელისუფლებისათვის ის დამოუკიდებელი სამეცნიერო ავტორიტეტია და ნაკლებად კონტროლირებადი პიროვნება, რომლის უცხოეთში გაგზავნა ზედმეტი რისკია.

ს. ჯანაშიაც ეროვნული ისტორიის სფეროში მუშაობს და ყოველივე ეს: ეროვნული ისტორიის კვლევა, ძლიერი ინდივიდუალური ავტორიტეტები, „არასაკმარისად იდეოლოგიზებული" მეცნიერული პოზიციები, საბჭოთა ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით მგძნობიარე საკითხი იყო. ამგვარად, პოლიტიკური რისკი აღემატებოდა აკადემიურ სარგებელს. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც რომ, საბჭოთა მეცნიერის საზღვარგარეთ გამგზავრება მოითხოვდა მრავალსაფეხურიან თანხმობას, საჭირო იყო:

1. აკადემიური ინსტიტუტის რეკომენდაცია, 2. პარტიული ორგანოების დასტური, 3. უსაფრთხოების სტრუქტურების (მილიცია, სახელმწიფო უშიშროება) შემოწმება, 4. საბოლოო ადმინისტრაციული ნებართვა. ამ ოთხივე ეტაპის წარმატებით გავლა 1937 წელს თითქმის შეუძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში აკადემიური კრიტერიუმი მეორეხარისხოვანი ხდებოდა; გადამწყვეტი იყო პოლიტიკური სანდოობა.

**ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1937 წლისთვის ქართველი ისტორიკოსების ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესში თეორიულად შესაძლებელი იყო, ფორმალურად, საბჭოთა მეცნიერებს ჰქონდათ მონაწილეობის არხი: სსრკ მეცნიერებათა აკადემია არჩევდა კანდიდატებს, არსებობდა კავშირი ისტორიულ მეცნიერებათა საერთაშორისო კონგრესთან. 1938 წლის ციურიხის კონგრესისთვის წინასწარი კონსულტაციები 1936–1937-ში ნამდვილად მიმდინარეობდა. თუმცა მასში მონაწილეობა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის პირობებში ნაკლებად სავარაუდო იყო. შესაბამისად, აღნიშნულ მიმოწერაში „საერთაშორისო კონგრესის“ საკითხი უნდა გავიგოთ არა როგორც რეალური აკადემიური პერსპექტივა, არამედ როგორც ფორმალურად დასაშვები, მაგრამ პოლიტიკურად შეზღუდული შესაძლებლობა.**

რას მისცემდა ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობა მათ და ქართულ მეცნიერებას. ვცადოთ „ფარული პერსპექტივის“ წარმოდგენა, ანუ ის, თუ რა შეიძლებოდა ამ შემთხვევაში მომხდარიყო. ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესში მნიშვნელოვნად გააძლიერებდა როგორც მათ ინდივიდუალურ აკადემიურ სტატუსს, ისე ქართული ისტორიოგრაფიის საერთაშორისო ინტეგრაციას. მათი მონაწილეობა ციურიხის 1938 წ. კონგრესში იქნებოდა საერთაშორისო აკადემიური აღიარება. ივ. ჯავახიშვილი ცნობილი მეცნიერი იყო, მაგრამ კონგრესზე გამოსვლა ამ სტატუსს დააფიქსირებდა დასავლურ სივრცეში. ეს იქნებოდა მისი გვიანი, მაგრამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო „რეპრეზენტაცია“. მათ პირდაპირი კონტაქტი ექნებოდათ ევროპელ ისტორიკოსებთან, - რაც საბჭოთა იზოლაციის პირობებში იშვიათი იყო. ნაშრომების ინტეგრაცია საერთაშორისო დისკურსში–ქართული ისტორიოგრაფია გახდებოდა უფრო ხილვადი, პირველად გამოჩნდებოდა იგი სისტემურ ევროპულ ფორუმზე. მათი მონაწილეობა ნიშნავდა: ქართული ისტორიის „ევროპიზაციას“. საქართველოს ისტორია შევიდოდა ზოგადევროპული ისტორიული კვლევის ჩარჩოში. თემატური „ლეგიტიმაცია“ - კავკასიის ისტორია აღიქმებოდა არა პერიფერიად, არამედ დამოუკიდებელ კვლევით სივრცედ. ქართული მატიანეები, ქრონიკები, არქეოლოგიური მასალა გახდებოდა საერთაშორისო კვლევის ნაწილი.

ინსტიტუციური ეფექტი. ქართველ ისტორიკოსთა მონაწილეობა გააძლიერებდა: ქართული სამეცნიერო დაწესებულებების ავტორიტეტს, თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო სტატუსს, ანუ ეს იქნებოდა ქართული მეცნიერების „გარე ლეგიტიმაციის“ აქტი. მეთოდოლოგიური გავლენა. ეს საერთაშორისო ფორუმები მხოლოდ მოხსენებების პლატფორმა არ იყო, ისინი ქმნიდნენ: ახალი კვლევითი მეთოდების გავრცელების არხს, ისტორიული ანალიზის თანამედროვე მიდგომებს, დისკუსიის კულტურას, ამის შედეგად: ქართული ისტორიოგრაფია უფრო სწრაფად ჩაერთვებოდა ევროპულ მეთოდოლოგიურ ტენდენციებში.

**მაგრამ, საბოლოოდ მოხდა ისე, რომ 1938 წლის ციურიხის კონგრესი საბჭოელების გარეშე ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები. ამის შესაძლო მიზეზები იყო 1938 წლის საერთაშორისო დაძაბულობა (ანშლუსი-ის შემდეგი ვითარება); შვეიცარიასა და სსრკ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტა და სსრკ-ში მიმდინარე პროცესები.**

**მამუკა შელეგია**

**P.S.** ზევით მოტანილ ს. ჯანაშიას ამ საინტერესო ბარათს ძალიან პროზაული ისტორია აქვს. 1980 წლის მაისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის განყოფილებათა ერთი ნაწილი ძერჟინსკის (დღევანდელი პავლე ინგოროყვას) ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტზე (N52) (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დღევანდელი შენობა) გადადიოდა. გადაზარგვის ალიაქოთისას, დერეფნის ერთ კუთხეში აღმოაჩინე ქაღალდები: განცხადებები, საქმიანი თუ პირადი წერილები, ეტყობა, დროებითი შესანახი საქმეების კატეგორიიდან. მათ შორის იყო მოყვითალო ფერის თაბახის ფურცელი, რომლის მარცხენა ზედა კუთხეში, მწვანე ფანქრით, რეგისტრაციის ნომერია მითითებული: 35/3. სწორედ მასზეა - ს. ჯანაშიას ბარათი და ივ. ჯავახიშვილის პასუხიც. ნამდვილად გასაკვირია, იმ არეული ეპოქიდან როგორ გამოაღწია, მაგრამ... იგი გადარჩა და მალე სათანადო დაწესებულებაში დაიდებს ბინას.



# ერის გადარჩენისთვის უმთავრესია მტკიცე რწმენა, სიყვარული, მშვიდობა, გონიერება და მუხლჩაუხრელი შრომა!

## საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, მეუფე შიოს სააღდგომო ეპისტოლე

**„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთივკურთხეულ სულიერ შვილებს!**

**ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერმონაზონნო, სრულიად საქართველოს ყოველნო მკვიდრნო და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!**

**ქრისტე აღდგა!**

**დღეს ხარობს და ზეიმობს სამყარო! მხსნელი სოფლისა, დასაბამი და წყარო სიცოცხლისა, მაცხოვარი ჩვენი აღდგა მკვდრეთით და შემუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისა!**

**აღდგა უფალი, დაიმსხვრა საკვრელნი ბოროტებისა და განქარდა ძალი ეშმაკისა!**

**აღდგა უფალი და მოეფინა მარადიული ნათელი ყოველსა ქვეყანასა ზედა!**

**აღდგა უფალი ღმერთი ჩვენი და სიყვარულმა განაღო ყოველი დახშული და კაცთათვის განუხსნელნი კარნი!**

დღეს განეცხადა კაცობრიობას გონებამიუწვდომელი საიდუმლო, აღდგომა მაცხოვრისა, ლოდსაკიდური ჩვენი რწმენისა, რამეთუ ბრძანებს მოციქული პავლე: „უკეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამაო არს სარწმუნოებაა ეგე თქუენი“ (1 კორ. 15,17).

დღეს ჩვენ გამო განკაცებული, ჯვარცმული და საფლავად დადებული მაცხოვარი მკვდრეთით აღადგენს კაცობრივ ბუნებას, შემუსრავს ჯოჯოხეთის ძალაუფლებას და ცოდვის ტყვეობისგან გამოხსნილ ადამიანს კვლავ დასაბამიერ, სამოთხისეულ ნეტარებას აზიარებს.

დიდია ამ მოვლენით გამოწვეული სიხარული, ზეიმობს მოაზროვნე ქმნილება და ყველა ერთად წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებთან თანახმიერნი ვღაღადებთ: **„დღეს მიეცემა ხსნა სოფელს, როგორც ხილულს, ასევე უხილავს. ქრისტე აღდგა მკვდრეთით, თანააღდექით!.. გათავისუფლდით ცოდვის ბორკილებისგან! ჯოჯოხეთის ბჭენი გაიხსნება და სიკვდილი შეიმუსრება, ძველი ადამი განიშორება და ახალი განსრულდება“** (თექვსმეტი სადღესასწაულო სიტყვა. სიტყვა XLV).

ჩვენ განვვლეთ წმინდა დიდი მარხვის პერიოდი, როცა ქრისტიანები მკვდრეთით აღდგომილ მაცხოვართან შესახვედრად ემზადებიან; ლოცვითა და მარხვით ვესწრაფოდით სულის განწმენდას, რათა მიახლებულნი ყოვლადმოწყალე უფალს, ღირსნი გავმხდარიყავით მისი სიტყვების მოსმენისა: **„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენო თქვენ“** (მთ. 11, 28).

თუმცა ამ მზადების დროს ჩვენი გულები მწუხარებამ მოიცვა, დიდი მარხვის ჯვრის თაყვანისცემის კვირაში ღვთივ მიიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ამიტომ ახლა, როცა საყვარელი მამის გარდაცვალებით დაობლებულნი ვხედავთ ქრისტეს აღდგომით დამარცხებულ სიკვდილს, განსაკუთრებით გვანუგეშებს დავით მეფსალმუნის სიტყვები: **„პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმინდათა მისთა“** (ფს. 115, 6), რადგან ჩვენთვის, ქრისტიანთათვის, გარდაცვალება არა წარწყმედა, არამედ ცხონებისა და მარადიული ნეტარებისკენ მიმავალი გზაა. სწორედ ეს არის აღდგომის სიხარულის საზრისი, თითოეული ადამიანის სასოებისა და სიხარულის საფუძველი...

მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის 49-წლიანი მოღვაწეობის გზა ამ სიხარულისა და იმედის მომნიჭებელი იყო ყოველი ჩვენგანისთვის. მისი მამობრივი სიყვარული, ლოცვა და ზრუნვა ეფინებოდა მთელ საქართველოს, თითოეულ ადამიანს...

არ ყოფილა მსუბუქი კათოლიკოს-პატრიარქობის მრავალწლიანი ღვაწლი და ჯვარი. მოწამებრივი გზა და თავგანწირვა იყო მისი ყოველდღიური ცხოვრება, ყოველი საქმე, ყოველი ფიქრი. მან ათეისტური რეჟიმისგან დევნილი, დაკნინებული, შევიწროებული მემკვიდრეობა ჩაიბარა და დაგვიტოვა აღშენებული ეკლესია, რომელიც დღეს უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნისა და საზოგადოების ცხოვრებაში.

**მისი მამამთავრული სიბრძნე მოგვაგონებდა მოსეს, რომლის მსგავსად, განსაცდელთა ჟამს ერთგვარ ბეწვის ხიდზე მიუძღოდა ერს, ამხნევებდა დაცემულს, აერთიანებდა განბ-**



**ნეულს და უფლისკენ მოაქცევდა მათ გულებს; მისი სიტყვა და ლოცვა იყო ის სვეტი, რომელმაც ერს გზა უჩვენა სულიერი ტყვეობიდან გამოსვლისას (გამოს. 13, 21).**

უწმინდესი პატრიარქი თითქოს გარდაცვალების შემდეგაც განაგრძობს ერის მოქცევას, გაერთიანებას, ქადაგებას. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თავის წინამორბედ პატრიარქთა კვალდაკვალ სვლით და ღვთივსათნო საქმეთა აღსრულებით ახალი სიცოცხლე შთაბერა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.

მისი სწავლებები, მისი ღვაწლი დღესაც უწყვეტად, დაუცხრომლად გრძელდება ყოველ მორწმუნეში, რომელთა ღვთისკენ მიმართული გულები ერთობით ადიდებს მკვდრეთით აღდგომილ მაცხოვარს...

ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა და კიდევ მრავალი დაიწერება მისი ღვაწლის შესახებ, მაგრამ ალბათ ყველაზე ძვირფასი, რაც მისმა უწმინდესობამ მოიმუშაკა, არის ქრისტიანული სარწმუნოების უმთავრესი სათნოება – სიყვარული.

სწორედ ამ უსაზღვრო სიყვარულისა და რწმენის ნაყოფია ის სასწაული, რაც მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის გარდაცვალების შემდგომ დღეებში ვიხილეთ. მთელი საქართველო, ზღვა ხალხი უწყვეტ ნაკადად, მოწიწებით მიემართებოდა განსვენებული პატრიარქისთვის პატივის მისაგებად. ერთ მუშტად შეკრული ერი ბოლო წუთამდე მიაცილებდა დამაშვრალ სულიერ მამას მდუმარედ, ცრემლით, სიყვარულითა და მადლიერებით...

**ვმადლობთ უფალს და თითოეულ თქვენგანს ამ ერთობისათვის!**

**ვმადლობთ მათ, ვისაც არ მიეცა მსახურებაში უშუალო მონაწილეობის შესაძლებლობა, მაგრამ სულიერად ჩვენთან ერთად იყო და თავისი ლოცვებით გვაძლიერებდა...**

**სწორედ ერთმანეთის მხარში დგომა, ლოცვა, ერთობა და სიყვარული არის საწინდარი იმისა, რომ ღირსეულად გავაგრძელოთ ჩვენი საეკლესიო და სახელმწიფოებრივი ცხოვრება.**

**დაე, მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა მოგვანიჭოს მტკიცე რწმენა, სიყვარული, მშვიდობა, ერთსულოვნება და გონიერება!**

**მაშ, განვიხაროთ და ერთობით ვადიდოთ უფალი, რამეთუ „აღდგომისა დღე არს, განვბრწყინდებოდეთ დღესასწაულსა ამას, და ურთიერთარს შევეტკბოთ და ესრეთ ღმრთივბრწყინვალედ ღაღადვყოთ: ქრისტე აღდგა მკვდრეთით და სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა და მყოფთა საფლავისათა ცხოვრება მიჰმადლა“ (ზატიკი)“!..**

12 აპრილი, 2026 წელი

## „სოროსელებმა“ გაიმარჯვეს?!

# ვისთვის რას ნიშნავს ორბანის დამარცხება?







**„რას ნიშნავს უნგრეთის საპარლამენტო არჩევნებში ვიქტორ ორბანის დამარცხება ევროკავშირისთვის, რუსეთისთვის, უკრაინისთვის და მსოფლიოში მემარჯვენე პოპულისტური მოძრაობისათვის“** – ასეთი სათაური აქვს ბრიტანული სამაუწყებლო კომპანიის „ბიბისის“ (BBC) ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სარედაქციო სტატიას, რომელშიც უნგრეთში ჩატარებული არჩევნების შედეგების მნიშვნელობაა განხილული საერთაშორისო მასშტაბით.

BBC

**გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:**

**უნგრეთის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციური პარტიის „ტისას“ გამარჯვება ზეუმრავლესობით (138 ადგილი 199-დან) ნიშნავს იმას, რომ მას კონსტიტუციის შეცვლა იოლად შეუძლია. საკადრო საკითხების გადაწყვეტისას პეტერ მაგიარს (მადიარს) უფლებამოსილება აქვს ვიქტორ ორბანის მიერ დანიშნული პიროვნებები თანამდებობებიდან გაათავისუფლოს სასამართლოებში, სახელმწიფო ინსტიტუტებში, უნივერსიტეტებში და კულტურის მსხვილ დაწესებულებებში.**

მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირის ხელმძღვანელობა პეტერ მაგიარის გამარჯვებაში პოტენციურად შემობრუნებით მომენტად თვლის ბუდაპეშტისა და ბრიუსელის მრავალწლიან კონფლიქტში, ნამდვილად ასე იქნება თუ არა, ამის თქმა ჯერჯერობით ნაადრევია.

ზოგიერთი გამოკითხვის თანახმად, პეტერ მაგიარს კონსერვატიული პოზიციები აქვს. და თუმცა მისმა პარტიამ პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობა მიიღო, „ტისა“ მაინც ვერ შეძლებს ვიქტორ ორბანის მიერ აგებულ „ელექტორალურ ავტოკრატიას“ სწრაფ დემონტაჟს: **ამ მიზნის განსახორციელებლად მას თვეები და წლებიც კი შეიძლება დაჭირდეს.**

### უნგრეთი და ევროკავშირი

**ბრიუსელში, გუნებრივია, განწყობა ამაღლებულია – ვიქტორ ორბანი დიდი ხნის განმავლობაში იყო ევროკავშირის „გვერდში შერჭობილი ხიწვი“. რა თქმა უნდა. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს პეტერ მაგიარის მიმართ გაგზავნილი აღფრთოვანებული მილოცვები და განცხადებები, რომ მისი გამარჯვება ევროპული დიპლომატიისათვის ისტორიულ მომენტს წარმოადგენს.**

მართლაცდა, **ვიქტორ ორბანი** არაერთხელ ბლოკავდა ევროკავშირის უმნიშვნელოვანეს ინიციატივებს, აფერხებდა ანტირუსული სანქციების რეალიზებას და იურიდიულად დღემდე ბლოკავს უკრაინის ბიუჯეტისთვის ჰაერივით აუცილებელი კრედიტის გამოყოფას. ბოლო კვირებში ცნობილი გახდა, რომ ვიქტორ ორბანი ევროკავშირის ლიდერთა თათბირების კონფიდენციალურ მასალებს თურმე რუსეთს აწვდიდა ხოლმე.

პარტია „ფიდესის“ დამარცხება იმასაც ნიშნავს, რომ ევროკავშირის ხელმძღვანელობა კარგავს თავის ყველაზე შეურიგებელ შიდა კრიტიკოსს, გამარჯვებული „ტისას“ მეგობრული პოზიცია აქვს როგორც ევროკავშირის, ასევე ნატოს მიმართაც.

**პეტერ მაგიარი,** რომელიც ადრე თვითონაც მუშაობდა ბრიუსელში უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხაზით, ევროკავშირის რიგ ინიციატივებს საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს. კერძოდ, იგი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ უნგრეთისათვის რუსული ენერგომატარებლებზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლება იმას კი არ ნიშნავს, რომ ბუდაპეშტმა სრულად უარი უნდა თქვას რუსულ იმპორტზე, არამედ ნიშნავს ენერგოწყაროების დივერსიფიცირებას. პეტერ მაგიარის აზრით, უნგრეთს რუსული ნავთობი და გაზი მინიმუმ 2035 წლამდე მაინც დასჭირდება. მისი პარტია ასევე გამოვიდა იმიგრაციული პოლიტიკის შეცვლის წინააღმდეგ, რომელსაც ევროკავშირი ვიქტორ ორბანისაგან მოითხოვდა. ასე რომ, „ტისა“ ევროკავშირისთვის საკმაო თავის ტკივილის მომტანი იქნება.

რასაკვირველია, ბრიუსელთან უფრო მჭიდრო და აწყობილი მუშაობა ბუდაპეშტისთვის მომგებიანი იქნება: პეტერ მაგიარი, ალბათ, განბლოკავს უკრაინისთვის ევროკავშირის მიერ კრედიტის გამოყოფას, თავის მხრივ უნგრეთი მიიღებს ევროკავშირისგან კრედიტს არმიის გადაიარაღებისათვის, 16 მილიარდი ევროს სახით.

### უკრაინა და რუსეთი

**უნგრეთის ფარგლებს გარეთ ამ არჩევნებში ყველაზე მთავარი გამარჯვებულია უკრაინა, ხოლო მთავარი დამარცხებული – კრემლი.**

კომენტატორები ხშირად უწოდებდნენ ვიქტორ ორბანს ვლადიმერ პუტინის „ტროას ცხენს“ ევროკავშირში. უახლოეს პერსპექტივაში უნგრეთის ახალი ხელმძღვანელობისაგან ბრიუსელში ელოდებიან იმას, რომ პეტერ მაგიარი შეწყვეტს უკრაინისათვის 90 მილიარდი ევროს კრედიტის გამოყოფის დაბლოკვას, რომლის რეალიზება შეუძლებელი იყო ვიქტორ ორბანის ჯიუტობის გამო.

მართალია, მან გასული წლის ბოლოს კრედიტის გამოყოფას მხარი დაუჭირა, მაგრამ მიმდინარე წლის თებერვალში დაბლოკა იმ მიზეზით, რომ უკრაინამ უარი განაცხადა რუსული ნავთობსადენის „დრუჟბას“ დაზიანებული მონაკვეთის შეკეთებაზე, რომლის მეშვეობით უნგრეთი რუსულ ნავთობს იღებდა. საერთოდ, ვიქტორ ორბანი უკრაინასა და ვოლოდიმირ ზელენსკის ბრალს სდებდა უნგრეთში უმუშევრობის მატებასა და ეკონომიკის სტაგნაციაში.

**პეტერ მადიარისათვის** რუსეთი აგრესორია, უკრაინა კი მისი მსხვერპლი. მაგრამ ამასთანავე, გამართლდება თუ არა კიევის იმედები იმაზე, რომ უნგრეთის ხელისუფლებაში „ტისას“ მოსვლით უკრაინა-უნგრეთის ურთიერთობები ღრმა კრიზისიდან გამოვა და უკეთესი გახდება, ეს საკითხი ჯერჯერობით ღია რჩება.

„ტისას“ ლიდერის არჩევნებში გამარჯვების შემდგომი განცხადებები მოწმობს იმას, რომ იგი უკრაინას მხარს ფრთხილად დაუჭერს. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმება იმას, რომ უკრაინა ევროკავშირში დაჩქარებული წესით იქნას მიღებული.

გარდა ამისა, უნგრეთის მომავალმა პრემიერ-მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ წინასწარი პირობა იმისათვის, რომ ბუდაპეშტმა კიევთან ურთიერთობის ნორმალიზება მოახდინოს, არის ის, რომ უკრაინამ უნგრული ეთნიკური უმცირესობების უფლებები უნდა აღადგინოს. უკრაინისათვის 90-მილიარდიან ევროს კრედიტზე საუბრისას პეტერ მაგიარმა აღნიშნა, რომ საკითხი ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში გადაწყდა, თვით ვიქტორ ორბანის პრემიერობის დროს, ამიტომ იმდროინდელი გადაწყვეტილება თავის იურიდიულ ძალას ინარჩუნებს და ამ საკითხისადმი დაბრუნება საჭირო აღარ არის, ანუ კიევი ფულს მიიღებს და მას ბუდაპეშტი ხელს არ შეუშლის.

### გაკვეთილი ეთნონაციონალისტებისათვის

**ვიქტორ ორბანი 16 წლის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა ევროპულ და ჩრდილოამერიკულ ლიბერალურ ისტებლიშმენტს და ურთიერთობებს მსოფლიოს ისეთ ქვეყნებთან აღრმავებდა, რომლებიც იდეოლოგიურად მასთან ახლოს იყვნენ.**

ვიქტორ ორბანის მიერ შექმნილი რეჟიმის დროს დემოკრატიისადმი დამახასიათებელი ბალანსის მექანიზმი (დანაწილება და გაწონასწორება) ფაქტიურად აღარ მოქმედებდა და ყველაფერი ერთი ადამიანის სურვილზე იყო დამოკიდებული. „ფიდესის“ ხელისუფლებას ხშირად უწოდებდნენ „არალიბერალურ დემოკრატიას“, „ელექტორალურ ავტოკრატიას“ და „სიცრუის დიქტატურას“.

ყველასთვის ცნობილია, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და მისი ადმინისტრაციის ბევრი წარმომადგენელი ღიად გამოხატავდნენ აღფრთოვანებას ამგვარი „დემოკრატიული სისტემით“. მართალია, **ვიქტორ ორბანის** პოპულარობა ბოლო წლებში უნგრულ საზოგადოებაში თანდათან ეცემოდა, მაგრამ ელექტორალურმა ოპოზიციამ ამ ფაქტორის გამოყენება ვერ შეძლო, ამასთან, პეტერ მაგიარი – რომელიც თვითონ „ფიდესის“ წევრი იყო – ბევრად უფრო მრისხანე მოწინააღმდეგე აღმოჩნდა. მისი დაუღალავი წინასაარჩევნო კამპანია და სოციალური ქსელების მოხერხებული სარგებლობით შეძლო ვიქტორ ორბანის პარტიის მიერ კონტროლირებული მასმედიისათვის გვერდის ავლა. გარდა ამისა, ვიქტორ ორბანი შეცდა, რომ ფსონი ანტიუკრაინულ რესენტიმენტზე დადო. როგორც ევროპული რეფორმების ცენტრის ექსპერტი ჟულიკე ჩაკი ამბობს, უნგრელებს აღარ შეეძლოთ შიშში ცხოვრება მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ამიტომაც საფრთხობელამ ვოლოდომირ ზელენსკის სახით არ იმუშავა.

ვერ დაეხმარა ვიქტორ ორბანს დონალდ ტრამპის მხარდაჭერაც, რომელიც მასში ევროპელ ნაციონალისტ მემარჯვენე ქრისტიანულ გმირს ხედავდა და ამიტომ ორბანში მნიშვნელოვანი პოლიტიკურ კაპიტალს აბანდებდა. **ვიქტორ ორბანის** დამარცხება არ ნიშნავს მემერაჯვენე პოპულისტური მთლიანი მოძრაობის უცილობელ დამარცხებას – თუნდაც იმიტომ, რომ პეტერ მაგიარი თვითონ პარტია „ფიდესის“ ყოფილი წევრი იყო. თუმცა, როგორც „ბიბისის“ კორესპონდენტი ქეით ადლერი აღნიშნავს, „ტისას“ ლიდერის გამარჯვება კიდევ ერთ პატარა აგურს წარმოადგენს გამოხატულ ტენდენციაში – პეტერ მაგიარი სათავეში ჩაუდგა პატარა, ნაკლებად ცნობილ პარტიას და ორ წელიწადში საოცარ წარმატებას მიაღწია: მთავრობის მეთაური გახდა.

რაღაც ამის მსგავსი მოხდა იტალიაში 2022 წელს, სადაც პარტია „იტალიის ძმების“ სათავეში მდგომმა **ჯორჯა მელონიმ** გვერდი აუარა ბევრად უფრო ცნობილ მეტოქეებს და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა. არ არის გამორიცხული, რომ ევროპის ქვეყნებში მომდევნო არჩევნების დროს ეს ტენდენცია ისევ გამოვლინდეს.

**როგორც დონალდ ტრამპისა და ბენიამინ ნეთანიაჰუს მაგალითები გვაჩვენებს, მსგავსი ლიდერები არჩევნებს აგებენ, მაგრამ შემდეგ ისევ იგებენ და ხელისუფლებაში ბრუნდებიან.**

# ამერიკა–ისრაელის ურთიერთობა ინგრევა!

**ბრიტანულ ჟურნალში „ნიუ სთეითსმენში“** (**New Statesman**) გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„ირანის შემდეგ აშშ შეიძლება ისრაელს შეუტრიალდეს: ორი ქვეყნის მტკიცე და განსაკუთრებული ურთიერთობები ინგრევა“** (ავტორი – **ფრედი ჰოვარდი**). **„ირანთან ომმა აშშ-ში ანტიისრაელური განწყობები გააძლიერა. ორივე პარტიის – რესპუბლიკურისა და დემოკრატიულის – ამომრჩევლებში ისრაელის მიმართ ცუდი დამოკიდებულება იზრდება, რასაც ნეგატიური შედეგები ექნება ორივე ქვეყნისათვის,** – ნათქვამია პუბლიკაციაში.

**გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:**

NewStatesman

**როცა თებერვალში ბენიამინ ნეთანიაჰუ თეთრ სახლში დონალდ ტრამპს ეწვია, მან აშშ-ის პრეზიდენტს ირანის წინააღმდეგ ომის სცენარი გააცნო: „ისრაელმა მაღალჩინოსნების ადგილსამყოფელი იცის, უზენაესი ლიდერის ჩათვლით. მათ დაბომბვებით დახოცავს. თეირანი ჰორმუზის სრუტეს ვერ ჩაკეტავს. ისრაელის არმია ლიბანში ირანის მოკავშირე „ჰეზბოლას“ გაანადგურებს.**

„მოსადი“ ირანელებს აჯანყებისკენ მოუწოდებს, ისლამური რეჟიმი დაეცემა“. დონალდ ტრამპი დაეთანხმა. მაგრამ ყველაფერი გეგმის მიხედვით არ განვითარდა. ომის დაწყებიდან თითქმის თვენახევარი გავიდა და ირანს ისევ მოლები მართავენ. ჰორმუზის სრუტე ჩაკეტილია.

**ირანის მოსახლეობა არ აჯანყებულა. ისრაელმა ლიბანში ომის სწრაფი დასრულება ვერ მოახერხა, „ჰეზბოლა“ წინააღმდეგობას უწევს. გამოდის, რომ ისრაელმა ამერიკა შეცდომაში შეიყვანა. ირანში ყველაფერი თითქმის ვენესუელასავით უნდა მომხდარიყო, რეალურად კი ისე არ გამოვიდა.**

ახლა დონალდ ტრამპი ცდილობს ეს ხათაბალა როგორმე თავიდან მოიშოროს. როგორც ირკვევა, ჯერ ვიცე-პრეზიდენტი ჯეიმს ვენსი და შემდეგ სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო მაინცდამაინც თავს არ იკლავდნენ ომის დაწყებისათვის. სარწმუნო წყაროები ამბობენ, რომ მარკო რუბიომ ისრაელის სადაზვერვო მონაცემებს, რომ ირანში აჯანყება მოხდება და რეჟიმი დაეცემაო, სისულელე უწოდა. მართლაც ასე მოხდა: ბენიამინ ნეთანიაჰუმ სპეციალური მოწოდებით მიმართა ირანელ ახალგაზრდებს, ქუჩებში გამოსულიყვნენ და საკუთარი მთავრობა დაემხოთ, მაგრამ მოწოდებას არავინ არ გამოეხმაურა.

**ადრე თუ გვიან ამ წინასწარ განწირული ომისათვის განტევების ვაცი იქნება საჭირო. ვინ შეაცდინა დონალდ ტრამპი? ისრაელი და მისი პრემიერ-მინისტრი სულ უფრო შეესაბამება პრეზიდენტის შემცდენელის როლს. ხომ არ არის ეს აშშ-ისრაელის ტრადიციული ურთიერთობის დასასრულის დასაწყისი?**

ორი სტრატეგიული მოკავშირის ურთიერთდამოკიდებულება უკვე საკმაო ხანია ფუჭდება. ისრაელი აშშ-ში არაპოპულარულია. გამოკითხვების შედეგები ორივე პარტიაში ფართო ანტიისრაელურ განწყობას აფიქსირებს:

**დღეს ამერიკელთა 60%-ს ისრაელის მიმართ ნეგატიური განწყობა აქვთ. ერთი წლის წინათ მათი რაოდენობა 53% იყო, 2022 წელს კი მხოლოდ 42%. ეჭვის ქვეშ დგება რწმენა – მუდმივად დაიცავს და შეაიარაღებს ამერიკა ისრაელს?**

დემოკრატიული პარტია ნოემბრის კონგრესის შუალედური არჩევნებისაკენ მიდის არა ტრანსატლანტიზმის განმტკიცების, უკრაინის დახმარებისა და ჩინეთის გავლენის ზრდის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მოწოდებით, არამედ ისრაელთან კონფრონტაციით.

რესპუბლიკურ პარტიაში MAGA-ს მარჯვენა ფრთაში პოპულარული ხდება იდეა, რომლის მიხედვით, ისრაელი ამერიკით მანიპულირებს საკუთარი მიზნების მისაღწევად. სულ რაღაც ხუთი წლის წინათ ისრაელისადმი მხარდაჭერა რესპუბლიკელებისათვის ისეთივე მშობლიური თემა იყო, როგორც აბორტების დაგმობა. ამჟამად რესპუბლიკელებისა და დემოკრატების პოზიცია ისრაელთან მიმართებით თითქმის ერთნაირია. ამერიკელი ახალგაზრდები ისრაელისაგან დისტანცირებენ. მათი რწმენით, ისრაელი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე ნაგატიურ გავლენას ახდენს. და ეს ყველაფერი პირდაპირ ჯდება დევიზში „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“. თაკერ კარლსონი, რომლის პრეზიდენტობის განდიდატობა სულ აშკარად იკვეთება, ყოველდღიურად შტამპავს ისრაელის კრიტიკას, რომელიც ელვისებურად ვრცელდება სოციალურ ქსელებში. ისრაელი ამერიკელი დიპლომატების თვალში ნდობას კარგავს.

**დღეს სწორედ ისრაელის გამო ირღვევა აშშ-ირანის დაზავების პირობები, მათ შორის ის, რომ ცეცხლის შეწყვეტა ყველა ფრონტზე უნდა მოხდეს. ბენიამინ ნეთანიაჰუ კი ლიბანში „ჰეზბოლას“ დაბომბვას აგრძელებს.**

ირანელები აცხადებენ, რომ დაზავება ლიბანზეც ვრცელდება, აშშ კი იძულებულია, ისრაელს მხარი დაუჭიროს და ირანს უპასუხოს, რომ ვაშინგტონს თეირანისთვის ასეთი პირობა არ მიუცია. ამით მტკიცდება იმის შეგრძნება, რომ ისრაელი აშშ-ის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს. ისრაელი ამერიკას უგუნურ რეგიონულ ომში ითრევს თავისი ვიწრო მიზნების მისაღწევად.

**ორ ქვეყანას თავიდანვე განსხვავებული სამხედრო მიზნები ჰქონდათ. შესაძლოა ერთობლივი ოპერაცია „ეპიკური მრისხანება“ აშშ-სა და ისრაელის ურთიერთობებში ნამდვილი და განსაკუთრებული დამოკიდებულების უმაღლეს მაჩვენებლად დარჩეს, მაგრამ ეს არის პიკი, რომლის იქით უკვე დაცემის ეტაპი იწყება.**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

## უზნეობა, სიყალბე, სატანიზმი




# ევროპის დაისი, ანუ გარდაუვალი კატასტროფა!

**ევროპელი ე. წ. პოლიტიკოსებისა და მაღალჩინოსნების განცხადებებსა და რეზოლუციებს რომ ვისმენ, სადაც საქართველოს ხელისუფლების საგარეო და საშინაო პოლიტიკაა გატრიზავებული, უვიცობისა და უზნეობის, სიცრუისა და აშკარა მტრობის ისეთი მდვრიე ნიაღვარი მოედინება, მიკვირს, რა ზუსტად შეუფასებია ოსვალდ შპენგლერს ევროპის, ჯერ კიდევ, ასი წლის წინანდელი ეკონომიკური, კულტურულ-ზნეობრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების პერსპექტივები: კულტურას შეცვლის ანტიკულტურაო, ზნეობას – უზნეობაო, ცოდნას – უვიცობაო, ჰუმანიზმს – დესპოტიზმიო. ცხონებულო ჰერ შპენგლერ, თქვენს მიერ დანახული „დაისი“ ახლა „ევროპის კუნაპეტი“ ღამეა. ღმერთმა ქნას, უფლის მადლმა იხსნას ევროპის მცირე, მაგრამ ჯანსაღი ნაწილი და მას დაუბრუნოს სანიმუშო XIX საუკუნე, ადამიანური, ჰუმანური განვითარების პერსპექტივებით, თუმცა, ამ მცირე ნაწილის აქტიურობისა და ღვთისადმი რწმენის გარეშე, ეს არ მოხდება!**

ძალიან ვამაყობ ჩემი ხელისუფლების ვაჟკაცური და შეუვალი პოზიციის გამო ევროკავშირის ჩინოსნების უსინდისო და სრულიად არალოგიკური ბრალდებების წინაშე. ეს ღირსეული საქციელია, მაგრამ მათ წინაშე თავის მართლება, თუნდაც, რკინის ლოგიკითა და ფოლადის არგუმენტებით, უშედეგოა და უშედეგო იქნება მუდამ. გაიხსენეთ კრავისა და მგლის არაკი: კრავმა ბევრი უმტკიცა მგელს: მე ქვევითა ვარ, შენ – ზევით, როგორ აგიმღვრევ წყალსაო, – მაგრამ არაფერი გამოუვიდა; მისი თავისმომაბეზრებელი თავდაცვით გაბეზრებულმა მგელმა, ბოლოს პირდაპირ უთხრა: შენი ჩაკვნეტა რომ მინდა, მიზეზად ესეც კმარაო!

აი, როცა კრავი ხარ, ერთ კარგ კავკასიურ ნაგაზთან უნდა მეგობრობდე და მაშინ, მგელი ცუდადაც კი ვერ შემოგხედავს! არც თავის მართლება დაგჭირდება მგლებთან. ისე კი, ზოგიერთი იტყვის, მგელი და ძაღლი ერთი და იმავე ჯიშისანი არიანო, – ტყუილია ეს! სრულიად განსხვავებულია მათი ბუნება: მგელი მტაცებელია და არც არავის ერთგულება იცის, ძაღლი დამცველია და ერთგულებაა მისი მთავარი თვისება. სახით შეიძლება ერთმანეთს ჰგავდნენ, ისე როგორც ზოგიერთი ადამიანი ჰგავს შეხედულებით (საქციელითაც!) მაიმუნს. სხვათა შორის, ალბათ, ამან ათქმევინა ჩარლზ დარვინს ის, რომ მაიმუნი ადამიანის წინაპარიაო, თუმცა ეს არავის დაუჯერებია თვითონ დარვინისა და დარვინისტების მცირე ჯგუფის გარდა.

უნდა ითქვას აუცილებლად, რომ ევროპული ნეოლიბერალიზმის, ანუ სატანიზმის უკურნებელი სენი საქართველოშიც შემოიჭრა. ამ სენის ბაცილა ევროპაში „განათლებულმა“ იმდროინდელი მაღალჩინოსნებისა და „მაყუთიანი“ მამების შვილებმა ისე შემოიტანეს, რომ თვითონაც ვერ აცნობიერებდნენ ამას. სწორედ ისინი ამკვიდრებდნენ საქართველოში ე. წ. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისადმი შემწყნარებლურ დამოკიდებულებას. „რა ვქნათ, ის ასეთია, ჩვენ ხომ არ გვაყენებს ზიანს, იცხოვროს ისე, როგორც უნდა,“ – ასეთი იყო მათი ევროპული მრწამსი. სწორედ მათი გავლენითა და ხელშეწყობით შემოიტანეს ჩვენში ისეთი უცხოური ფილმები, სადაც ჰომოსექსუალური პერსონაჟები კეთილებად, ერთგულებად, უაღრესად კულტურულ ადამიანებად იყვნენ წარმოჩენილები. მაგალითად, ერთი ამერიკული მრავალსერიანი ტელეფილმი მინდა გავიხსენო – „დინასტია“. ამ ფილმში ერთი ოჯახის – ქერინგსტონების ოჯახური ისტორიაა წარმოდგენილი; ოჯახი მრავალწევრიანია, ძმები, დები, მამა, მისი მეუღლე და ყოფილი მეუღლე, მსახურები და სხვები. ყველა მათგანს რაღაც არსებითი პიროვნული ნაკლი აქვს, ზოგი ეგოისტია, ზოგი სიმდიდრის გადაჭარბებით მოყვარულია, ზოგი მატყუარაა, ზოგი მეგობრის მოღალატეა, მხოლოდ ერთი ძმა არის „უნაკლო“, – სტივენი, რომელიც მამის გასაცნობად, თავის საცოლეს მოიყვანს ოჯახში; ეს საცოლე ლამაზი ბიჭია, რომელიც მამის მოწონებას დაიმსახურებს. როდესაც დინასტიის თავკაცი, სტივენის მამა იმასაც გაიგებს, რომ მისი სარძლო ვაჟი სტივენთან ერთად სწავლობს უნივერსიტეტში, მისი კმაყოფილება სრულყოფილი ხდება.

აი, ასე დაიწყო, თითქოს უპრობლემოდ, ის მარაზმი, რომელმაც ჯერ ე. წ. არატრადიციული სექსუალური „ორიენტაციის“ მიმდევართა მიერ რუსთაველის პროსპექტზე მათი აღლუმის ჩატარების მოთხოვნამდე მიგვიყვანა, მერე კი ევროკავშირის კატეგორიული მოთხოვნა დაგვიყენა წინ: **ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება!**

ამ ნეოლიბერალებმა, ანუ იმნაირებმა, ერთი უმძიმესი ცოდვაც შემოიტანეს ჩვენში – რუსოფობია. ეს არის სატანიზმის მომაკვდინებელი შხამი, რომელიც უკვალოდ არ გაქრება, სამწუხაროა რაიც! ან როგორ გაქრება, როდესაც სკოლის მერხიდანვე თავში უტენიან ახალგაზრდებს ბოროტ სიცრუეს: ჯერ 1801 წელს დაგვიპყრო რუსეთმა და მეფის ტახტი გააუქმაო, მერე 1921 წელს რუსეთის ჯარმა მეორედ დაგვიპყრო და „ნანატრი“ დამოუკიდებლობა დაგვაკარგვინაო. მესამედ 2008 წელს შემოიჭრა და აგვაოხრაო! ღმერთო, დაიფარე და ცოდვა არ მოეკითხოს იმ მოტყუებულ ახალგაზრდებს, ვისაც ეს სიცრუე ჩაუტენეს თავში და ახლაც უტენის. დღეს წიგნსა და სერიოზულ პოლიტიკურ, თუ სამეცნიერო-პერიოდულ პრესას თითქმის აღარავინ კითხულობს და რა უნდა ქნან, ნეტავი, როგორ გაიგონ ჭეშმარიტება!

ახლა მე ვიტყვი, ჩემი აზრით, სიმართლეს და ღმერთმა განსაჯოს, მე ვცრუობ, თუ ისინი, ვინც ჩემს მიერ ზემოაღნიშნულ სიცრუეს უტენის თავში დიდსა თუ პატარას.

**1. 1801 წელს რუსეთმა კი არ დაიპყრო საქართველო, არამედ ქართველთა მუხლმოუყრელი ვედრება შეისმინა რუსეთის მეფე პავლე პირველმა და რუსეთის სენატმა დააკმაყოფილა ქართველი თავადაზნაურობის (გარსევან ჭავჭავაძის მეთაურობით!) თხოვნა რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს მიღებაზე და რუსეთის იმპერატორის მანიფესტის გამოცხადებას ზარ-ზეიმით შეხვდა ქართველი ხალხი.**

**2. 1921 წელს საქართველოში შემოვიდა არა რუსეთის არმია, არამედ ბოლშევიკური წითელი არმია, რომლის სარდალი იყო სამუელ ბუაჩიძე, კომისარი შალვა ელიავა, საერთო პოლიტიკური ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე.**

**რუსული არმიები, გენერლების – დენიკინის, კრასნოვის, იუდენიჩისა და კოლჩაკის მეთაურობით უკვე განადგურებულები იყვნენ ბოლშევიკურ არმიებთან ბრძოლაში.**

**იტყვის ვინმე, მაინც რუსული რევოლუციის ჯარისკაცები იყვნენ მე-11 წითელ არმიაშიო. არ არის ასე. აქ იყვნენ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ყველაზე ნაკლებად – რუსები.**

**რა რუსული რევოლუციის?! რევოლუციის შემდეგ შედგენილ რუსეთის მთავრობაში, ანუ ლენინ-ტროცკის სახკომსაბჭოში არც ერთი რუსი არ იყო; მთელ იმ მასონურ მთავრობაში ერთი ქართველი ჰყავდათ, რომელსაც ეროვნებათა საქმის სახალხო კომისრის პოსტი მიუგდეს. სწორედ იმ უმნიშვნელო პოსტზე მყოფმა კაცმა 17 წელი მოანდომა იმ „სატანისტური“ რევოლუციის ბელადების სათითაოდ და წყვილ-წყვილად გაგზავნას დიხას (მიწაში) და იხსნა რუსეთის ხალხები (და სხვებიც) ნეოლიბერალური ფაშიზმის წარღვნისაგან.**

**3. 2008 წელს, სააკაშვილის სარდლების მთავრობით ქართული ჯარი შუაღამისას შეიჭრა ცხინვალში და „მამაცურად“ აიღეს ქალაქი, დახოცეს რუსი მშვიდობისმყოფელი ჯარისკაცების სამხედრო ნაწილი და კასეტური ბომბები დაუშინეს ქალაქს. ამ ფაქტს აღნიშნავს ცნობილი ტალიავინის კომისია და ამ დასკვნას ხელს აწერენ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ჩინოვნიკები.**

ახლა, რუსოფობიით გამოთაყვანებული ხალხის ინიციატივით, სტრასბურგის სასამართლოში უჩივლეს რუსეთს, იმათ, ვისაც ამის უფლება ჰქონდა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების გამო.

სტრასბურგში რომ იჩივლო, ქსენიას ძროხა რომ გაბერწდა რუსეთის ბრალიაო ეს, სტრასბურგი უსათუოდ დაადასტურებს. ისე იყო მაშინაც, სტრასბურგმა რუსეთი გაამტყუნა, თუმცა რა ფეხები მოჭამა, ნეტავი?

ახლა, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთხმად ამტყუნებს სააკაშვილს ტალიავინის დასკვნაზე ხელმოწერის გამო, თითქოს მან ომის დაწყება ქართველ ჯარისკაცებს დააბრალა. ვაივა, ვა-ვა ჩქიმ ცოდა, რა მძიმე დაავადება ყოფილა ეს რუსოფობიური ჭირი.

არ მიკვირს ეს იმ ხალხისაგან, ვისაც ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებზე. ეროვნული ღირებულებები და იდენტობა ვინმეს მიერ გუშინწინ დადგენილი და გაჟღერებული რაიმე კი არ არის – „მე ქართველი ვარ, მაშასადამე ევროპელი“-ო, ამაყად რომ განაცხადა ევროპელების ერთ შეკრებაზე უბედურმა საქართველოს პრემიერმა ზურაბ ჟვანიამ, ან მისმა მემკვიდრეებმა, თავიანთი სხვებზე მაგარი ევროპელობა რომ დაემტკიცებინათ, კონსტიტუციაში შეიტანეს მუხლი: ჩვენი მიზანია „ნატოსა“ და ევროკავშირის წევრობაო.

„ნატოსა“ და ევროკავშირში ვერა, მაგრამ ისტორიაში კი შეხვალთ იმის გამო, რომ რომელიმე ორგანიზაციის წევრად გახდომის სურვილი კონსტიტუციურად განამტკიცეთ.

ასეთი სისულელეები პოლიტიკა არ არის, პირიქით არის ეს! ეს უფრო დასავლეთის სატანისტურ ხელისუფლებებთან კეკლუცობას ჰგავს, იმ დასავლეთთან, სადაც კარგა ხანია ის დემოკრატიაც აღარ არის, რაც თავიანთი ხალხებისთვის ჰქონდათ. სხვებისთვის ის არასოდეს ჰქონიათ, რადგან ის სხვები მათი სიძლიერის საშენ ქვა-ღორღად მიაჩნდათ. ასეა ეს!

ახლა ჩემს იმ თანამემამულეებს მინდა ვკითხო, ვისთვისაც „რუსი“ და „ოკუპანტი“ სინონიმებია: ისტორია (შენი ქვეყნისა მაინც!) თუ კარგად იცი, როდის მოახდინა რუსეთმა საქართველოს, ან მისი ნაწილის ოკუპაცია? (სიტყვა „ოკუპაციის“ მნიშვნელობა თუ იცი!), ან ევროპაში მისი შეჭრის ერთი მაგალითი დაასახელოს ვინმემ, ევროპარლამენტარმა თუ ევროპელმა გეოგრაფიის „უზადოდ მცოდნე“ ექსპერტმა! რუსეთში კი ვერაგულად შეიჭრებოდნენ ხოლმე, ხან გერმანელები, ხან შვედები, ხან ფრანგები, ხან პოლონელები. რუსებს მაშინ უხდებოდათ ევროპაში „შეჭრა“, როდესაც სამარცხვინოდ დამარცხებულ დამპყრობლებს მათ დედაქალაქამდე მისდევდნენ და მერე უკან ბრუნდებოდნენ ტრიუმფით.

სხვაგვარად თუ იყო საქმე, თქვით და მადლობელი დაგრჩებით ჩემი განათლებისთვის, ხოლო სიცრუეს არ მივიღებ, როგორც ის საცოდავები ღებულობენ, ვისი პროფესიაც ქუჩის უაზრო პროტესტი და სამთავრობო შენობებზე შტურმი და პოლიციელებისათვის ცეცხლმოდებული ე. წ. „კოქტეილების“ სროლაა.

დასავლელი „პოლიტიკოსების“ ან ლანძღვა როგორ უნდა მიიღო სერიოზულად, ან „ჭკუის დარიგება და რეკომენდაციები“ იუმორის გარეშე, როდესაც ტერაქტის ჩადენის პროცესში დაკავებული კაცის გათავისუფლებას ითხოვენ ასეთი „შეუვალი“ არგუმენტით: როგორ შეიძლება სულელური საქციელისათვის კაცის დაპატიმრებაო.

მე თანდათან ვრწმუნდები, რომ დასავლელი პოლიტიკური ლიდერებისა და მათი მიმდევრების უმრავლესობა უკვე შეურაცხადები არიან და მათი ქვეყნების ხალხებს, თუ ამის ძალა შესწევთ, მათი მკურნალობა უნდა დაიწყონ (ნებაყოფლობით ან ძალადობით!). ევროპის დიდად ავტორიტეტულმა სასამართლომ, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ატომური სახელმწიფოს პრეზიდენტს პატიმრობა რომ მიუსაჯა, შეურაცხადი არ არის? ვისაც ჰგონია რომ არ არის, ის თვითონ არის ფსიქიურად უიმედოდ დაავადებული.

გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა რუსეთს ესტუმრა დიდი ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი რომენ როლანი და შეხვდა და ესაუბრა ლენინს. პარიზში რომ დაბრუნდა, მან დაწერა გენიალური პუბლიცისტური ნაშრომი – „რუსეთი წყვდიადში“. აი, მაშინ, როდესაც ევროპის მზე ჩაესვენაო, – შპენგლერმა, მაშინ რუსეთში სატანისტური რევოლუციის თანამდევი წყვდიადი იყო გამეფებული. კიდევ ვიმეორებ, რომ არა სტალინის გამოჩენა, ისევე როგორც ნაპოლეონი გამოაჩინა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, იმ წყვდიადში ჩაიკარგებოდა რუსეთი. უფლის ნებაა ყველაფერი, თორემ რა იმპერიები ჩაიკარგნენ წყვდიადში, სამუდამოდ!

**უფალი თუ ინებებს, ნეოლიბერასტული ფაშიზმის წყვდიადში ჩასაკარგავად გამზადებულ დასავლეთს შეიძლება კვლავ მოევლინოს ახალი სტალინი, მაგრამ ამ საკაცობრიო ცოდვის მზიდავ დასავლეთს მოევლინება კი გადამრჩენელი? რაც დრო გადის, მით უფრო მეპარება ეჭვი ამაში.**

**ოპტიმისტურად უნდა დავამთავრო ეს წერილი: ჩვენი დიდი პატრიარქის გარდაცვალებამ და ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის მიერ გამოხატულმა ერთგულებამ ღვთისადმი, როგორც თვითონ ილია II იტყოდა ხოლმე, – საქართველო გადარჩება!**

**ზურაბ ცუცქირიძე,**
განათლების მეცნიერებათა დოქტორი,
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი
ტელ. 555 56 75 37

დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №41-42




# ქართული წყალბურთის აღდგომა

**5 წლის წინათ წყალბურთელთა მსოფლიო თასზე მასპინძლის სტატუსით ვითამაშეთ, დამდეგ ზაფხულში კი ავსტრალიაში 22-26 ივლისს უკვე მძაფრ ბრძოლაში მოპოვებული საგზურით დავიცავთ ქართული სპორტის ღირსებას.**

ამ წარმატებას ეროვნული ფედერაციის ახალი თავკაცის **დიმიტრი აბდუშელიშვილის** ერთი შეხედვით სარისკო გადაწყვეტილება უძღოდა წინ, რომელმაც სერიოზული გამოცდის წინ ქვეყნის მთავარი გუნდის მწვრთნელად ბერძენი სპეციალისტის კეჩაგიასის ნაცვლად შესანიშნავი კარიერით გამორჩეული თანამემამულე **რევაზ ჩომახიძე** მოიწვია.

მან მალტის შესარჩევ ტურნირამდე საბრძოლო ნათლობის გავლა სლოვაკეთში მოგებულ დუბრავას თასზე მოასწრო, თვით კუნძულზე კი თურქებთან სასტარტო შეხვედრის წაგებით პესიმისტებსა და ჩასაფრებულებს საქილიკოდ ნოყიერი საფუძველი შეუქმნა, მაგრამ...

აქედან მოყოლებული, ჯვაროსნები გარდაიქმნენ, ირწმუნეს საკუთარი ძალები და არაკეთილმოსურნენი პირში ჩალაგამოვლებულნი დატოვეს.

დიახ, თუ არა ტრიუმფს, ვერაფერს ვუწოდებთ ჯგუფში ბრაზილიასთან და სლოვენიასთან მოხვეჭილ გამარჯვებებს, პლეი-ოფში იმავე თურქებთან აღებულ მწარე რევანშს, აგრეთვე უკრაინასთან და გერმანიასთან დამსახურებულ მოგებებს.

მართალია, მონტენეგროს მრისხანე ნაკრებთან ფინალურმა მატჩმა ინტრიგა დაკარგა, მაგრამ ბიჭებს პრესტიჟის დაცვა მართებდათ, შედეგის მიუხედავად კი პლანეტის 8 რჩეულში მოხვედრით ისტორიული მიღწევის ავტორნი მაინც გახდნენ. ყოჩაღ!

**საქართველო-მონტენეგრო 17:19.**

მსოფლიო წყალბურთის ერთ-ერთ გრანდს მე-2 პერიოდი 6:2 მოვუგეთ და ლიდერობას დასკვნითი მეოთხედის წინაც ვინარჩუნებდით – 13:12, მაგრამ ბოლოს მაინც ვაჟკაცურად დავმარცხდით.

არადა, გვაკლდნენ დისკვალიფიცირებული **დადვანი** და **ვასიჩი,** რომელსაც გერმანელებმა ცხვირი გაუტეხეს. **მოკლედ, საბოლოოდ I-ის ტოლფასი მე-2 ადგილი და ავსტრალიის საგზური!**




# წინ დიდი გამარჯვებებია!

**პირველად ჩვენი ფედერაციის სპორტულ ისტორიაში ლიზი ზვიადაურმა კუმიტეს 55 კგ. წონით კატეგორიაში ქალთა შორის საქართველოს GE WKF-ის პრემიერ ლიგის ბრინჯაოს მედალი მოუტანა!**

ჩინეთის ქალაქ ლეშანში მიმდინარე პრემიერ ლიგის ასპარეზობაზე ლიზიმ პირველი წრიული ეტაპი დამაჯერებლად გაირა და დაიკავა პირველი ადგილი. მან გაიმარჯვა ყაზახეთის (6:1), თურქეთის (5:3) და უზბეკეთის (6:4) სპორტსმენებთან; მომდევნო ეტაპზე ლიზი დამარცხდა ფინალისტ სპორტსმენთან რუსეთიდან და ბრინჯაოს მედლისთვის საკმაოდ რთული ბრძოლა თურქ სპორტსმენთან გამარჯვებით ანგარიშით 4:2 დააგვირგვინა.

აღსანიშნავია, რომ ისტორია დაიწერა: ეს არის ლიზის დებიუტი პრემიერ ლიგის ესოდენ პრესტიჟულ ასპარეზობაზე მსოფლიოს საუკეთესო 333 კარატისტის მონაწილეობით 60 ქვეყნიდან და აგრეთვე, ეს გახლავთ პირველი მედალი საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის ისტორიაში უფროსი ასაკის გოგონებს შორის.

ამ ღირსშესანიშნავ წარმატებას ვულოცავთ ლიზი ზვიადაურს, მის პირად მწვრთნელს, **ზვიად ზვიადაურს,** (კლუბი პატრიოტი), საქართველოს უფროსთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს, **გოგიტა არქანიას** და ჩვენი ფედერაციის თითოეულ წევრსა და გულშემატკივარს.

**მადლობა საქართველოს სპორტის სამინისტროს მხარდაჭერისთვის, რაც უდიდეს მოტივაციას წარმოადგენს ქართულ სპორტში ჩართული თითოეული პირისთვის და განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის. წინ დიდი გამარჯვებებია!**

# ცოტა დააკლდა

**ესპანეთის ლა ლიგის 31-ე ტურში „ვილიარეალმა" სტუმრად „ბილბაო" 2:1 დაამარცხა და პრაქტიკულად გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის საგზური. სასწაული უნდა მოხდეს, რომ მარსელინოს გუნდმა სეზონი ოთხეულში ვერ დაასრულოს.**

„ვილიარეალი" პირველ ტაიმში სერხი კარდონას და ალფონსო ალვარესის გოლებით 2:0 დაწინაურდა, რასაც ბასკებმა ბოლოს პრესტიჟის გოლით უპასუხეს.

გიორგი მიქაუტაძე არ იყო ძირითად შემადგენლობაში, თამაშში მხოლოდ 69-ე წუთზე ჩაერთო. ქართველი ძალიან ახლოს იყო სუპერგოლთან. 78-ე წუთზე მან კარიდან წინ გამოსული უნაი სიმონი შენიშნა და მოედნის ცენტრიდან კარში დაარტყა. დარტყმა ფაქტობრივად ზუსტი იყო, მაგრამ ბოლო მომენტში მოედანზე დახტომის შედეგად, ბურთი კარს ზემოდან ოდნავ გადასცდა... ულამაზესი გოლი იქნებოდა, სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო.




მიქაუტაძეს ლა ლიგის მიმდინარე სეზონში 26 მატჩში 9 გოლი აქვს გატანილი (მათ შორის 6 მიმდინარე წელს) და 5-ჯერ საგოლე პასი გააკეთა, ხოლო ყველა ტურნირის ჩათვლით (ლა ლიგა, ესპანეთის თასი, ჩემპიონთა ლიგა) 36 შეხვედრაში 11 გოლი და 5 საგოლე პასი მიითვალა. გარდა,ამისა, 1 გოლი ლიგა 1-შიც გაიტანა, რადგან სეზონი საფრანგეთის ჩემპიონატში, კერძოდ, „ლიონში" დაიწყო. „ვილიარეალი" 61 ქულით მესამე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 23 აპრილს, „ოვიედოს" ესტუმრება.



# დებიუტში და მეორე ტაიმში ვაჯობეთ

**საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა, 2026 წლის ექვსი ერის ფესტივალის დასკვნით მატჩში, შოტლანდიას მეორე ტაიმი მოუგო, თუმცა ეს საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა – 19:33.**

ეს იყო ჩვენი გუნდის მესამე და დასკვნითი მატჩი ექვსი ერის ფესტივალზე, სადაც ჩვენმა ახალგაზრდა მორაგბეებმა ელიტური რაგბი ბოლომდე შეიგრძნეს. მიუხედავად იმისა, რომ **გიორგი ნემსაძის** შეგირდებმა საფრანგეთის ქალაქ ვიშში სამივე შეხვედრა დათმეს (საფრანგეთთან 22:49, ინგლისთან 31:35, შოტლანდიასთან 19:33), მათ შეიძინეს ის ფასდაუდებელი გამოცდილება, რომელიც როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდური წარმატებისთვის სამომავლოდ გამოადგებათ.

შოტლანდიას 18-წლამდელთა ფესტივალზე პირველად ჩვენთვის სადებიუტო მატჩში, 2024 წელს შევხვდით და მაშინ მეტოქეს 8 ქულით (14:22) ჩამოვრჩით. ამჯერად, ინგლისთან ნაჩვენები თამაშის შემდეგ, წარმატების იმედი გვქონდა და დებიუტიც იმედისმომცემი იყო, თუმცა პირველი გამარჯვება კვლავაც ვერ მოვიპოვეთ. საქართველომ თამაში აქტიურად დაიწყო, კარის წინ მოპოვებული ჯარიმა აუტში გადაიტანა, დერეფნის მოგების შემდეგ გიორგი ბერძენიშვილმა კარგად შეუტია, რაქიდან ბურთი **სანდრო გამყრელიძემ** სწრაფად აიტაცა და ლელოთი ანგარიში მე-2 წუთზე გახსნა. **ლუკა ჭაკუამ** გარდასახა. ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა და ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა, მაგრამ ჯარიმებს მოვუხშირეთ და ბურთზე ფლობა დავკარგეთ, რამაც საბოლოო ჯამში მეტოქეს ინიციატივა გადაულოცა. შედეგად, დასკვნით 15 წუთში დაცვა მოგვერღვა და შოტლანდიამ 4 ლელოს გატანა მოახერხა, რითაც სოლიდური, 19-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა 26:7.

მეორე ტაიმში საქართველო დომინირებდა. 20-წუთიანი განუწყვეტელი შეტევების შემდეგ, შოტლანდიას ჯარიმები მოუმრავლდა და 55-ე წუთზე სინბინის შემდეგ კაცნაკლული დარჩა, იქვე დერეფნის შემდეგ მორკინალებით შევუტიეთ, მეტოქე დაცვაში ვეღარ გადაეწყო და **მიხეილ მგალობლიშვილმა** რაქიდან სწრაფად შეტევის შემდეგ ლელო გაიტანა, რასაც ზუსტი გარდასახვა მოყვა.

მაგრამ სიჩქარეში დაშვებული შეცდომის შემდეგ მეტოქემ გარდასახული ლელოთივე გვიპასუხა და სტატუს-ქვო აღადგინა. ორ წუთში **საბა გოგრიჭიანმა** მოლის შემდეგ შოტლანდია ერთხელაც დაალელოვა და ტაიმი მოგვაგებინა, თუმცა ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა – 19:33.




# ტორონტო მერვედფინალშია

**NBA-ს რეგულარული სეზონის ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართა, სადაც სანდრო მამუკელაშვილის „ტორონტო რეპტორსმა" საკუთარ დარბაზში „ბრუკლინ ნეთსი" დამაჯერებლად 136:101 დაამარცხა და მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.**

სანდრო მამუკელაშვილმა შეხვედრა სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და პარკეტზე 17 წუთი გაატარა. ხსენებულ დროში ქართველმა 9 ქულას,3 მოხსნასა და 3 შედეგიან გადაცემას მოუყარა თავი. სანდრომ 3-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 სამქულიანი ჩააგდო.

**ცნობისთვის: კანადელებმა აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილი დაიკავეს და 2022 წლის შემდეგ პირველად მოახერხეს მერვედფინალში გასვლა, სადაც მათი მეტოქე „კლივლენდ კავალიერსი" იქნება. აღნიშნული დაპირისპირების პირველი შეხვედრა 18 აპრილს გაიმართება.**

# საჩუქრის ქურდები

**UFC-ის ჩემპიონი ისლამ მახაჩევი იტალიაში გაქურდეს და ხვიჩა კვარაცხელიას ნაჩუქარი ბუცები მოპარეს,** – ინფორმაცია თავად მებრძოლმა სოციალური ქსელის საშუალებით გაავრცელა.

გასულ კვირას, „ლივერპულთან" პირველ მატჩში გატანილი გოლის შემდეგ პსჟ-ს ქართველმა ვარსკვლავმა **ხვიჩა კვარაცხელიამ** ისლამ მახაჩევს ბუცები სამახსოვროდ აჩუქა, თუმცა, რამდენიმე დღეში აღმოჩნდა, რომ ძვირფასი საჩუქარი მოიპარეს.



მახაჩევის ინფორმაციით, **ინციდენტი იტალიაში მოხდა, სადაც მას ჩანთა მოპარეს, შიგნით კი სწორედ კვარაცხელიას მიერ ნაჩუქარი ბუცებიც იდო.**

რუსმა სპორტსმენმა სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა და ქურდებს მიმართა – **„თუ ფეხბურთი არ გაინტერესებთ, დამიბრუნეთ",**

მიუხედავად ინციდენტისა, **მახაჩევმა აღნიშნა, რომ თავად უსაფრთხოდ არის და ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთი – მისი ლოცვის ხალიჩა – არ დაუკარგავს.**

# ბანძაში შეიძლება კარანტინი გამოაცხადონ!!!

**მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძაში ძაღლს, რომელმაც 2 ადამიანი დაკბინა, ცოფი დაუდასტურდა. ისინი მკურნალობის შესაბამის კურსს გადიან.**

ამ დროისთვის დადგენილია 2 დაკბენილი პირის ვინაობა, რომლებიც შესაბამის ვაქცინაციას გადიან. პარალელურად, მიმდინარეობს სხვა შესაძლო დაზარალებულების გამოვლენა. სოფლის რწმუნებულის თქმით, ცოფიანმა ძაღლმა 3 პირი დაკბინა,რაც მისივე თქმით, იმის საფუძველს იძლევა, რომ სოფელსა და მიმდებარე ტერიტორიაზე გამოცხადდეს კარანტინი.



მარტვილის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი, როზა ჯანაშია 'პრაიმტაიმთან" აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებს და აცხადებს, რომ ქუჩის ძაღლს ცოფი ლაბორატორიულად დაუდასტურდა.

# მოძალადე მამაზე დაპატიმრების ორდერი გაიცა




**პოლონეთში 5 თვის ბავშვის გარდაცვალების საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს! პოზნანის რაიონულმა პროკურატურამ 48 წლის ნაზგურ ქავთარაშვილის დაპატიმრების ორდერი გასცა. ის იმ 5 თვის ბიჭის მამაა, რომელიც თავის მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში გარდაიცვალა.**

ამ საქმეზე ბავშვის დედა და მისი ორი მეგობარი დააკავეს. ახლა პოზნანის პროკურატურამ მისი მამის, საქართველოს მოქალაქის, 48 წლის ნაზგურ ქავთარაშვილის დაპატიმრების ორდერი გასცა.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მამაკაცი მისი ჩვილი შვილის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის რადიკალური საფრთხის შექმნაზეა პასუხისმგებელი.

**„მამაკაცი ეჭვმიტანილია არასრულწლოვანი შვილის სერიოზული ფიზიკური დაზიანების უშუალო საფრთხის წინაშე დაყენებაში და მისთვის დახმარების გაწევის უგულებელყოფაში, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრებოდა“,** – აცხადებენ პოზნანის პროკურატურაში.

როგორც ცნობილია, ბიჭს ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა მისი სიცოცხლის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ის 8 აპრილს გარდაიცვალა. გაკვეთამ არ გასცა საბოლოო პასუხი კითხვაზე, იყო თუ არა ჩვილი ხანგრძლივი ძალადობის მსხვერპლი. თუმცა, დადგინდა, რომ მდგომარეობა, რომელშიც ბავშვი საავადმყოფოში მოათავსეს, სიცოცხლისთვის საშიში იყო და დაზიანებები, სავარაუდოდ, ბავშვის შენჯღრევამ და თავის მყარ საგნებზე დარტყმამ, ან იატაკზე დავარდნამ გამოიწვია.

# ნარკორეალიზატორებმა სულ გაიჯეჯილეს!

**90 შეკვრად დაფასოებული „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“ და 33 ძირი მცენარე „კანაფი“ ამოიღეს – დაკავებულია 4 პირი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით 4 პირი დააკავეს,** – ინფორმაციას შსს ავრცელებს.

მათ ბრალად ედებათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა, რეალიზაციის ხელშეწყობა და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო კულტივირება. სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, სარეალიზაციოდ გამზადებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები ნივთმტკიცებად ამოიღეს, მათ შორის: 90 შეკვრად დაფასოებული „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“ და 33 ძირი მცენარე „კანაფი“.

დგინდება, რომ ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულთაგან ორ პირს, საცხოვრებელ სახლებში მოწყობილი ჰქონდათ სპეციალური სათბურები, სადაც ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანას ახდენდნენ.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველების მიერ, ასევე, ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებების დაფასოებისა და კულტივირებისთვის საჭირო მასალები. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 260-ე კვარტა და 265-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, რაც 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# მკვლელობა მცხეთაში — ჩამწარებული აღდგომის დღე!

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობის ბრალდებით 1983 წელს დაბადებული **თ.კ.** დააკავეს.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 12 აპრილს, მცხეთის მუნიციპალიტეტში, საცხოვრებელ ბინაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე – 1973 წელს დაბადებულ დ.ბ.-ს ფიზიკური დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად დ.ბ. ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს“,** - აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.




# განცხადება

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს **მარიამ კვარაცხელიასთან,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: **ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28,** მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2024 წლის 16 სექტემბერს გარდაცვლილი მოქალაქე იური ფესენკოს (დაბადებული 1965 წლის 11 მაისს (პ/ნ: 61004053538) გარდაცვალების მოწმობა N77247007809)) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, თბილისის ქუჩა N9-ში, საცხოვრებელი სახლის მე-2 სართულზე არსებული ბინა N6-ის 19,20 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის (ს/კ: 20.48.01.522.01.006) უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: **ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28.**

## სანთელი

# ღირსეული ექიმის ხსოვნა



## გოგი ალექსანდრეს ძე ჭუბაბრია

**1936 წლის 11 აპრილს, სენაკში, დაიბადა ადამიანი, რომლის ცხოვრება შემდეგ იქცა დიდ შრომად, პასუხისმგებლობად და ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულად – გოგი ალექსანდრეს ძე ჭუბაბრია.**

**ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სიბეჯითითა და სწავლაზე განსაკუთრებული სიყვარულით. სკოლის დასრულების შემდეგ მან აირჩია ყველაზე საპასუხისმგებლო გზა – მედიცინა. 1961 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და უკვე როგორც ახალგაზრდა ექიმი დაიწყო თავისი დიდი გზა ადამიანების სამსახურში.**

**ყველგან, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მას თან დაჰყვებოდა ერთგულება და ადამიანური სითბო – თვისებები, რომლებიც კოლეგებსა და მეგობრებს განსაკუთრებულად უყვარდათ. გოგი გახლდათ სენაკის რაიონის მთავარი ექიმი. მისი მშვიდი ხმა, ყურადღებიანი მზერა და დახმარების სურვილი ბევრს აძლევდა იმედს მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდათ.**

**დღეს, როცა გოგი ჭუბაბრია 90 წლის გახდებოდა, მისი ოჯახი, ვიხსენებთ მას არა მხოლოდ როგორც პროფესიონალს, არამედ როგორც თბილ, კეთილ და ღირსეულ ადამიანს – კაცს, რომელმაც თავისი ცხოვრება სხვების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სამსახურს მიუძღვნა.**

**მისი ხსოვნა რჩება ნათელ მაგალითად იმისა, თუ როგორ შეიძლება პროფესია იქცეს სიყვარულად, ხოლო ცხოვრება – ადამიანებისადმი მსახურებად.**

**გია (გიულენ), ალექსანდრე, კახა ჭუბაბრიები**



**თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ნოდარ და გულნაზ ემუხვარებს ძმისა და მაზლის**

## გივი მიხეილის ძე ემუხვარის

**გარდაცვალების გამო.**

# კვების ობიექტებში სასმელების პლასტმასის ბოთლით მიწოდების აკრძალვა ძალაში რჩება!

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებით, საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ მომხმარებლისთვის სასმელების პლასტმასის ბოთლებით მიწოდების აკრძალვა ძალაში რჩება და რეგულაცია პირველი ივლისიდან ამოქმედდება.**

**„პლასტმასის მოხმარების შემცირების მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეგულაციების ამოქმედების თარიღებთან დაკავშირებით, სამინიტრო განმარტავს:**

**2026 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით აკრძალულია: პლასტმასისაგან დამზადებული ჩანგლების, დანების, კოვზების, ჩხირების, თეფშების, საწრუპების, სასმლის მოსარევების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული სასურსათო კონტეინერების/ჭიქების და მათი თავსახურების წარმოება (გარდა ექსპორტის მიზნით), იმპორტი ან/და ბაზარზე განთავსება; ასევე აკრძალულია სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში პლასტმასის ჭიქების, კონტეინერების და პლასტმასის 3 ლიტრამდე ბოთლებით სასმლის შესყიდვა. 2026 წლის პირველი ივლისიდან აიკრძალება: საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ პლასტმასისგან დამზადებული ერთჯერადი გამოყენების სასურსათო კონტეინერებისა და ჭიქების საშუალებით მზა სურსათის მიწოდება მომხმარებლებისთვის; ასევე აიკრძალება საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ მომხმარებლისთვის სასმელების პლასტმასის ბოთლებით მიწოდება. 2031 წლის პირველი თებერვლიდან აიკრძალება: პლასტმასის ბოთლებში სასმლის წარმოება (გარდა ექსპორტის მიზნით), იმპორტი და ბაზარზე განთავსება. აკრძალვა არ გავრცელდება 3 ლიტრი და მეტი მოცულობის სასმელ წყალზე და 20 ლიტრი და მეტი მოცულობის სხვა სასმელზე“.**

## დავით სონღულაშვილი:
# ქართული ღვინის სექტორი წარმოადგენს დინამიკურად განვითარებად დარგს, რომელიც წარმატებით აერთიანებს ტრადიციულ მეთოდებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს




# ქართველთა ჭირისა და ლხინის თანაზიარი

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) კონფერენციაში „ვაზისა და ღვინის კულტურული ღირებულების აღიარება: საერთაშორისო პერსპექტივები“ მიიღო მონაწილეობა,** – ინფორმაციას ამის შესახებ **სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.**

უწყების ცნობით, მინისტრმა ღვინის ეროვნულ დღეზე საქართველოში მიიპატიჟა ქართული ღვინის მოყვარულები.

**„საქართველოში ღვინის კულტურის გავლენას შეხვდებით ყველგან – ფერწერაში, პოეზიაში, კინოში, სიმღერაში, ჭირსა თუ ლხინში. საქართველოში ღვინო მხოლოდ სასმელი არ არის, ის ჩვენი ეროვნული იდენტობის განუყოფელი ნაწილია, ცხოვრების წესია, ღრმად ინტეგრირებული საზოგადოების ცნობიერებაში“,** – განაცხადა **დავით სონღულაშვილმა** კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლის დროს.

უწყების ინფორმაციით, მინისტრმა ყურადღება საქართველოში ვაზის ჯიშთა მრავალფეროვნებაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ დღეისათვის საქართველოში აღწერილია 500-ზე მეტი ვაზის ჯიში, რომლებიც წარმოადგენს უნიკალურ რესურსს როგორც მეცნიერული კვლევებისთვის, ისე მაღალი ხარისხის ღვინის წარმოებისთვის.

**„ქართული ღვინის სექტორი წარმოადგენს დინამიკურად განვითარებად დარგს, რომელიც წარმატებით აერთიანებს ტრადიციულ მეთოდებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხარისხის კონტროლს, წარმოების სტანდარტიზაციასა და ექსპორტის დივერსიფიკაციას. ქართული ღვინო დღეს წარმოდგენილია მსოფლიოს მრავალ ბაზარზე და თანდათან იმკვიდრებს პოზიციას, როგორც მაღალი ხარისხის, უნიკალური და კულტურულად გამორჩეული პროდუქტი.**

**ბევრ ქვეყანაში შეძლებთ მის დეგუსტაციას, თუმცა, დამეთანხმებით, რომ ღვინო ღვინის სამშობლოში მაინც განსაკუთრებულად ისმება. 8 მაისს საქართველოში ღვინის ეროვნულ დღეს აღვნიშნავთ. სიამოვნებით გავხდებოდი ყველა იმ ადამიანის მასპინძელი, ვისაც უყვარს და აფასებს ქართულ ღვინოს“,** – განაცხადა **დავით სონღულაშვილმა.**

# გამორჩეული მოქანდაკის – რუსუდან გაჩეჩილაძის გამოფენა გაიხსნება



**17 აპრილს, ATINATI-ის კულტურის ცენტრში გამორჩეული ქართველი მოქანდაკის, რუსუდან გაჩეჩილაძის გამოფენა გაიხსნება.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, ექსპოზიცია აერთიანებს ხელოვანის მიერ შექმნილ ქანდაკებებსა და გრაფიკულ ნამუშევრებს, რაც სრულყოფილად წარმოაჩენს მის შემოქმედებით ხედვას. გამოფენის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ვიდეო პროექციაც – ნაჩვენები იქნება მედია პლატფორმა „ATINATI“-ს მიერ მომზადებული ვრცელი ფილმი მხატვრის შესახებ.

**„გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა ნამუშევარი დაცულია ATINATI-ის კერძო კოლექციაში.**

**რუსუდან გაჩეჩილაძე თანამედროვე ქართული ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. ის XX საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული პორტრეტული ქანდაკების ერთ-ერთი რეფორმატორია. მისი ნამუშევრები გამოირჩევა ფსიქოლოგიური სიღრმითა და ფორმის გამოკვეთილი ექსპრესიულობით. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალის როლის გაძლიერებაში ქართულ ქანდაკებაში, გაამდიდრა პორტრეტული ქანდაკების პლასტიკური ენა და დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა თაობის მხატვრებზე. ეს გამოფენა ეძღვნება მოქანდაკის ხსოვნას და წარმოადგენს მასთან სიმბოლურ გამომშვიდობებას, თუმცა მისი შემოქმედება და სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული ხელოვნების ისტორიაში.**

**ATINATI-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მუდმივად მზარდი კოლექცია, რომელიც უკვე მეხუთე წელია, იქმნება და დღეს დაახლოებით 3000 ნამუშევარს აერთიანებს. მრავალფეროვან მედიუმში შესრულებული ეს კოლექცია ნათლად ასახავს ქართული ხელოვნების განვითარების უწყვეტ ხაზს – მოდერნიზმიდან დღემდე“.**



# ორსულ ქალებს, რომლებიც ამ 5 საკვებს მიირთმევენ, მაღალი IQ-ს მქონე შვილები ჰყავთ!



**ორსულობის დროს დედის კვება და ცხოვრების წესი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე, არამედ მის ინტელექტზეც.**

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ბავშვის ტვინზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ საკვები, არამედ ყველაფერი, რასაც დედა ორსულობის დროს აკეთებს, ჭამს და გრძნობს. ეს მოიცავს, კერძოდ, ვარჯიშს, ფოთლოვანი ბოსტნეულის მოხმარებას და ა.შ.

**საუბარია ამ 5 ძირითად საკვებზე:**

**1. ომეგა-3 – ეხმარება ტვინის განვითარებას (თევზი, კვერცხი, სელის თესლი, ბოსტნეული).**

**2. ხილი და ბოსტნეული – შეიცავს ვიტამინებს და ანტიოქსიდანტებს, რომლებიც იცავს ტვინს.**

**3. ცილა – საჭიროა უჯრედებისა და ტვინის ფორმირებისთვის.**

**4. რკინა – ეხმარება ჟანგბადის მიწოდებას ბავშვისთვის და მნიშვნელოვანია ტვინის განვითარებისთვის.**

**5. ვიტამინი D – აუცილებელია ძვლებისა და იმუნიტეტისთვის (მზე მისი მთავარი წყაროა).**

# ახალ ზელანდიაში ძაღლებისა და კატებისთვის „ღვინის“ გამოშვება დაიწყეს

**ახალ ზელანდიაში კატებისა და ძაღლების პატრონებმა შინაური ცხოველებისთვის „ღვინის“ ყიდვა დაიწყეს. როგორც Daily Mail იტყობინება, სასმელს ღვინის კომპანია Muttley's Estate უშვებს, რომელმაც ალკოჰოლი კატის პიტნის ნაყენით ჩაანაცვლა.**

მწარმოებლის ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ სასმელი მზადდება ქვეყნის მზიან რაიონებში მოყვანილი პიტნისგან. შემადგენლობაში ასევე შედის წყალი და კონსერვანტები. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ ეს „ღვინო“ ცხოველებს სტრესთან გამკლავებაში ეხმარება, მაგალითად, ჭექა-ქუხილის, ფოიერვერკების ან ვეტერინართან ვიზიტის დროს.



ბრენდის წარმომადგენლების თქმით, კატის პიტნა შეიცავს ნაერთ ნეპეტალაქტონს, რომელიც ცხოველებში მოდუნების შეგრძნებას იწვევს. 150-მილილიტრიანი ბოთლის ღირებულება 12.99 ახალზელანდიური დოლარია. ასეთი ბოთლი დაახლოებით სამ პორციას შეიცავს. შინაური ცხოველებისთვის რამდენიმე სახეობის სასმელს გვთავაზობენ: Chapawgne, Purrno Noir, Sauvignon Bark, Proseccat, Pawt, Cabarknet და Meowsi.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 17 აპრილს